თავდენვე მიიპრო ურადღენბა თვტარის მრავალდეროდენბა რეპრეტურამაც: კ. ჩხეიძის — „თვლორ“, პ. კაკაბაძის — „ვეჯარე თოთაბერი“ და „კოლმერის კორწინება“, ზ. ჩხეიძის — „სიბრძნე სიყვდილისა“, მ. ჭავჭავიძის — „ლამპარის, ღორწინის“ „ვესტნიკის ისტორია“, ნ. კაკაბაძის — „იღვლილი“, ან. ოტჩინაშვილის — „რომეო, ჭლიბტა და წუღილი“.

„ჩემი დიდი მასწავლებელი კობე მარჩინაშვილი ამბობდა: „თვტარი უნდა იყოს სიხარული და დღესაწული“. ჩვენც ახევი ვცდლობით სიხარული და დღესაწული შევექმნათ ჩვენს მაურბებელს“ — სოქია სიხეიშის სახელმწიფო თვტარის დარტიკორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამბურებელმა მოღვაწემ მიხეილ დემარიავილიმა. თვტარის სახსოლო უნდა ითვას, რომ სწრედ ასეით სიხარული დანადღენა მან მაურბებელს თავისეი პირველი სექტიკალინი (ლოდორე). რომლის დადემაც ახევი თვტარის მთავარმა რევისორმა ნანა დემტარავილიმა განახორციელა.



ქრე

ჯაუარიქის

60 ნელი

ხალხისათვის განსაკუთრებით სათაყვანო ხელოვნათა შორისაა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, რომლის დაბადების 60 წლისთავი ზეიმიტ აღნიშნა ფართო საზოგადოებრივბამ. უჩა ჯაფარიძის შემოქმედებასთან და მოღვაწეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ფორმირე-

ბისა და აღმავლობის გზა, როგორც მხატვარი და პედაგოგი იგი განუხრელად, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა რეალისტური ეროვნული ხელოვნების პრინციპებს. ამ პრინციპებით ზრდიდა მხატვართა თაობებს, ამკვიდრებდა ჯანსაღა და მართალ, ქვეშაირტი მაღალი ხელოვნების იდეურ კრედოს. უჩა ჯაფარიძის მთელი შემოქმედება მხატვრის ამ მრწამ-

სის, მისი მსოფლმხედველობის ნათელი გამოხატულებაა. უაღრესად გულწრფელი, თითქმის ფაფი და ფართო დაბაზონის ხელოვანი, იგი დახვეწილი ოსტატობით ასახავს მშობლიური ხალხის ცხოვრებას, ქმნის თავის თანამედროვეთა თუ ისტორიული პიროვნებათა სახეებს, გმირულ-რევოლუციური სულისკვეთების ფართო ტილოებს.

დიდი ხანია ხალხის საყვარელ ქმნილებებად იქცა მისი შესანიშნავი ნაწარმოებები — ვლადიმერ ილას ძე ლენინის, შოთა რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის, ლესია უკრაინკას და სხვათა ფერწერული პორტრეტები... სახელოვანი ქართული მხატვრების — ვერცხო აზუა-ფარაძის, უშნავი ჩხეიძის, ვანო სარაჯიანიის არტისტული ხანის წარმომავლის, ჩვენს მგზობრებში არ შეიძლება არ გამოანათოს უჩა ჯავახიძისეულმა პორტრეტულმა ქმნილებებმა, რომლებშიც უკმა მართლად ასე ამბულელებლად და დრამდადა გახსნილი ამ დიდ ხელოვანთა ბუნება, მათი შთაბეჭდილი შემოქმედების ხასიათი. ფუნქცია თუ ფანქარი, სხვადასხვა გრაფიკული მასალით მხატვარი ტილოსა და ქალაღზე აღბეჭდავს ქართული კულტურის შესანიშნავ წარმომადგენლებს. რამდენი დასამახოვრებელი და მკაფიო ინდივიდუალური სახე ამ ვრცელ გაღერვაში, რაოდენ მტკნელი და ცოცხალი თითოეული!

ამ ქანრის ქმნილებებს შორის ერთ-ერთი ბრწყინვალე დიდის პორტრეტები. ფერწერული ტილი „მშობლიურ მადამოვში. დედა“ ეს არის მამაზი, მგზნებარე ჰიშინი, ეს არის თავიანისცემა და მოწინავე ცველაზე ძვირფასისადმი... სამშობლოსა და მშობლის სიყვარულის თემა აქ შეწყნული და აყვებულა მთლიანობაში. დედის გრძობებსა და განცდებს საოცრად გამომსახველად გამოსცემს გრაფიკული პორტრეტის „დედა“, რომელშიც უჩა ჯავახიძე კვლავ გვევლინება ფსიქოლოგიური დახასიათების დილისტატად.

მხატვრის სამშობლო კუთხე — რაჭა, მისი ადამიანები, ბუხნაყები რომანტიკული მო-

ხიზღელობით და დიდი სითბოით აისხა უჩა ჯავახიძის შემოქმედებაში. ნაწარმოებთა ეს ციკლი ვანუშეორებელი სიმფონიური პოემა ქართულ ფერწერაში. ხალხის ყოფის ყოველდღიურობა, სულსკვეთევა, ეროვნული კოლორიტი უჩასეული სინატივითა და სიმახვილით არის მოწოდებული და გახსნილი. „შეხვერა“, „სიყრმის მგობრები“, „დედის ფიქრები“ და მრავალი სხვა ცხოვრებისეული ფილოსოფიური სურათებია, რომლებშიც არ შეიძლება ბეგრი რამ არ წაიკითხოთ და არ შეიცნოთ.

მხატვრის მაღალი სახელით კულტურა, მახვილი ხედა, ჩვეულებრივი ღრმა აზრის დანახვისა და მშვენიერის გახსნის უნარი ჩანს უჩა ჯავახიძის ბუხნაყურ ქმნილებებშიც, რომლებიც ასევე გვიხდვენ ამაღლებული პოეზიით, თავისებური სურნელებით. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი მის ახალ ტილოში „ჩემი სამშობლო“ სურათოვანი განზოადება პოევა

მხატვრის უსაზღვრო სიყვარულმა სამშობლოსადმი. ღრმა სახიერებით წარმოსახა მან ქართული ბუხნაყი, ტიპური შტრახებიცა და დეტალებით ასახა ფართო კლრადობის ეს პანორამული ნაწარმოები.

ვისთვის არ არის ცნობილი მისი მონუმენტური სურათი — მრავალფეროვანი კომპოზიცია „საპირველმისინ დემონსტრაცია თბილისში 1901 წელს“, რომელიც სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მასში მხატვარმა დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენა ხალხთა მასების რევოლუციური შემართება, ურყევი სწრაფვა გამარჯვებისაკენ.

ფართოა უჩა ჯავახიძის, როგორც შემოქმედისა და მოქალაქის მოღვაწეობის ასპარეზი. თბილისის მხატვარი აკადემიის პროფესორი იგი მრავალი წლის მანიატეში უცვლელად ხელმძღვანელობს ფერწერის კათედრას. მრავალი წლის მანიატეში ედვა საქართველოს მხატვართა კავშირის საქმიანობას, ხოლო ახლა მისი საპატიო თავმჯდომარეა. იგი არის ხელოვნებისა და

ლიტერატურის დარგში აღინიშნური პრემიების კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი. უჩა ჯავახიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამგზის დეპუტატია.

29 იანვარს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრში გაიმართა უჩა ჯავახიძის დაბადების 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. აქ შეიკრიბნენ კულტურის მისი მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მრავალი სტუმარი მოსოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან.

საღამოზე მოვიდნენ ამხანაგები: ვ. მკვათაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, რ. ფრუძე, მ. ჩოგოვაძე, გ. ძოწინიძე, შ. ტანყუაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. კუჭუაძე, შ. კიანძე, ო. ლოლაშვილი.





უჩა ჩავჭარისის დანაბზიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საგმიო

საღამო გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ საქ. სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ლევაქამ. უჩა ჩავჭარისის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი.

საქართველოს კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქაშვილი იუბილარს მიესალმა რესპუბლიკის კულტურის მოღვაწეთა სახელით.

სიტყვა ეძღვნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილ წევრს, რუსეთის სსსრ მხატვართა კავშირის მოსკოვის

ორგანიზაციის მდივანს დ. შმარინოვს. მან წაითხა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ე. ფურცევის მისალმება და მიულოცა უ. ჩავჭარიძეს დედაქალაქის მხატვართა სახელით.

იუბილარს გულითადად მიესალმნენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის სახელით — მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ნ. პოლომაროვი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის სახელით — აკადემიის მდივანი, რუსეთის სსსრ სახალხო მხატვარი ა. გრიცაი, სომხეთის მხატვართა სახელით — სომხეთის მხატვართა კავშირის

თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო მხატვარი შ. აბეჯანი, აზერბაიჯანულ მხატვართა სახელით — სსრ კავშირის სახალხო მხატვარი შ. აბდულაევი, უკრაინის მხატვართა სახელით — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. კირიჩენკო, ლატვიის მხატვართა სახელით — ხელოვნებათმცოდნე ი. ნეფედოვა, უზბეკეთის მხატვართა და კულტურის მოღვაწეთა სახელით — მ. ნაზიევი.

უ. ჩავჭარიძეს გულობილად მიესალმნენ: საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი დ. გულდაშვილი, პოეტ კ. კალაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ბერიძე, რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე უ. ობოლაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. შაჭავარიანი, ქალაქის მთავარი არქიტექტორი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ი. ჩხეველი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ა. ქუთათელაძე, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი დ. ნალანდიანი.

იუბილარს მიულოცეს აქა-



სკლამის პრეზიდიუმში

დავში. მთელი თავისი შემოქმედება უნა ჩაფარებამ მიუძღვნა მშრომელ ხალხს, საშრობლოს, სოციალიზმის მწვერულზე აღმინებს. მისი მოვარე შემოქმედებითი თემები აღბეჭდულია მაღალი იდეურობით, რამაც იმთავითვე მიაკუთვნა ამ ოსტატს საკუთარი ადგილი საბჭოთა სახვით ხელოვნებაში და თვალწლითვე გამოავლინა მისი მხატვრული კრედიო. სულ მცირე დროში საბჭოთა ხელოვნებას უნა ჩაფარების სახით მოცვლინა ფერწერის შესანიშნავი ოსტატი, რომლის შემოქმედება აღსაყვია რევოლუციური პათოსით და რომლის ფუნქცი ემსახურება ჩვენი სოციალისტური ეტოქის მოვლენების ასახვას. საბჭოთა ხელოვნების ფორმირების მეტად რთული პერიოდი, რომელიც მხატვრის შემოქმედებითი ნიჭისა და შესაძლებლობის ერთგვარ გამოცდას წარმოადგენდა, უ. ჩაფარებამ ბრწყინვალედ დაავიცივინა.

უნა ჩაფარების შემოქმედებას მეტად თავისებური, მიშვიდეული ძალა გაჩინა. ჩვენ მის ხელოვნებას აღვიქვამთ, როგორც პლასტიკურ აღსარებას. ეს როდია ობიექტის კონკრეტულ აღმინებზე ან მოვლენებზე, ეს გახლავთ ზოგჯერ დრამატული, ზოგჯერ კი დირაქული აღსარება, მხატვრის სანუყვარი ოცნებისა და ჩანაფიქრის გამოხვედრება.

როცა უნა ჩაფარების მხატვრობაზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ გავისწნოთ მისი კოლორიტის, მისი პალიტრის ის ეროვნული იერი, ქართული ბუნების ფერთა ის სხივთარბობა, რითაც შეფერილია მთელი მისი შემოქმედება. უნა ჩაფარებამ თავისი შინაგანი ბუნებით ქართველი მხატვარი, თავის მშობლიურ ქართველ ხალხზე, მის ხასიათზე, ისტორიაზე, კულტურაზე და იფიქრო ხილამაზის მიწა-წყალზე შეყვარებული. საესებით მართებული იქნება იმის თქმა, რომ ამ მხატვრის შემოქმედება აღბეჭდილია ნათლად გამოხატული ეროვნული ხასიათით.

უნა ჩაფარებამ თავისი შემოქმედებით უჭირფარესი გაწინა შესძინა საბჭოთა სახვით ხელოვნებას. დიდია მისი როლი ქართული საბჭოთა ფერწერის ფორმირებასა და მისი იდეური სიწმინდისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ ძვირფას თანამშრომელს, ოდესღაც თბილისის მხატვრო აკადემიის ჩემს სტუდენტს უნა ჩაფარებამ მისთვის ჩვეული შოაგონებით აღსაყვია შემოქმედებითი სინაირები, რომ როგორც იტყვიან — ხელოვნების ეკლიანი გზა მისთვის სულ იავრდით ყოველთვის მოცვლილი.

მეგობრის სიუიკილო

ლადო გუღიაშვილი

უნა ჯაბორბამ საბჭოთა მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საბჭოთა ფერწერის დღოსტატი და მედროზე. მან მეტად რთული შემოქმედებითი გზა ვაწვლო. არც თუ ისე ადვილი იყო სწორი გზის მონახვა სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის. ოცდაათი წლებში ბევრ შესანიშნავ, ბრყინვალე იდეოდელოზობის მხატვრის გაჩინა ამ მიმდინარეობათა გავლენებში.

მამინ ახალგაზრდა დამწვემბა მხატვარმა უნა ჩაფარებამ ზუსტად მიაწინა და აღბეჭდა ყველაზე მნიშვნელოვანი. მხატვრის ინტელიცა დაეხმარა მას საბჭოთა სინამდვილეში აერჩია თემები — თვალსაჩინო და ცხოველყოფიელი. ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას ახსიათებდა სახედო, ნიჭიერება, ბოლო მისი ხელოვნების ფუნქცი იმთავითვე ღრმად იყო ჩაწრდული მშობლიურ შინა-

რის, აფხაზეთის, ქუთაისის, სამხრეთ ოსეთის, ამბროლაურისა და ონის რაიონების, ქალაქ გორის წარმომადგენლებმა.

უ. ჩაფარებამ მიიღო 600-ზე მეტი მისასაღმებელი დეკუმე ჩვენი საშრობლოს ფუნჯისა და საკერეთლის გამოჩენილი ოსტატებისაგან, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყნის შემოქმედებითი კავშირებისა და თვალსაჩინო მოღვაწეებისაგან.

თავის სიტყვაში უ. ჩაფარებამ დიდი მადლობა გადაუხადა შყერებელთ.



საქართველოს სახე

მისწრაფება — მისწრაფება მისწრაფება
 თბილისი ხელოვნების მინიმალური
 ლოკალიზაციაში
 ეურნალი ასაბუთო ხელოვნება
 იწყებს წარულოების პეკედვის ხელოვნების ცალკეულ ნიმუშებს, რომლებიც ამშვენებენ და თავის განუმეორებელ სახეს უქმნიან ჩვენს დღე-თბილისს.

გადავაქციეთ თბილისი სანიმუშო ქალაქად — ამ მიწოდების ჩვენი დედაქალაქის ყველა მშრომელთან ერთად გულმხურვალედ ემზადებიან ქართველ მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები. სწორედ მათი მოღვაწეობით ის ხამს ხარკს საერთო-სახალხო



მიხეილ თოფურია

თბილისის ლექსების კვლევა

საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ელგუჯა ამაშუკელის გახტანე გორგასალის ცხენოსანი ქანდაკება ორგანულად შეერწყვა და შეესისლბორცა თბილისის, ამ უძველესი, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების დინებას და მის ერთ-ერთ უპირველეს დირსშესანიშნაობად გადაიქცა.

ქართველი შემოქმედის ეს დიდებული ნაწარმოები ჩვენი ეროვნული ქანდაკების ჭეშმარიტად კლასიკურ ნიმუშს და თბილისის მარადიულ სიმბოლოს წარმოადგენს. იგი საბჭოთა და მსოფლიო მონუმენტური ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთაგანაცაა უთუოდ.

ორიღე წელიც არ არის, რაც ბრინჯაოს ეს მონუმენტი მტკვრის სანაპიროს ქვიან მალღობზე, მეტეხის უძველესი ტაძრის მახლობლად აღიმართა და ახლა ფიქროსი კი შეუძლებელია მისი თბილისისაგან განცალკევება.

საქართველოს დედაქალაქი ამ ქანდაკებისაგან განუყოფელი ასევე, როგორც, მაგალითად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მცხეთა უძველესი სუროთმოდერული შედეგების „ჯვარისა“ და „სვეტიცხოვლის“, ლენინგრადი — ფალკონისეული პეტრე პირველისა და ვენიცია — კოლონიის ცხენოსანი ქანდაკების გარეშე.

ელგუჯა ამაშუკელის „ვახტანგ გორგასალი“, მისივე სიმბოლური, დარბისლური და ძლიერი პატრიოტიული პათოსით აღსავსე და მაღალი კუმანური აზრის შემცველი ქანდაკების „ქართვის დედის“ დარად, რომელიც დიდებუ-

ლად თავს დასცქერის თბილისს, ამ უმშვენიერესი ქალაქის წამყვანი და განუყოფელი მხატვრულ-ისტორიული ელემენტია.

თანამედროვე ქართველ ნიჭიერ მოქანდაკეთა მიერ პლეადის ნაყოფიერ მისწრაფებას — თბილისი ექციათ ქანდაკებთა ქალაქად — ელგუჯა ამაშუკელმა შემოქმედებითი მარაგანდები დაადა.

ქალაქისათვის განკუთვნილ მის ჭეშმარიტად ეროვნულ ნაწარმოებებში ამ მისწრაფების საუკეთესო ნიშან-თვისებათა სინთეზმა მძლავრ ეპიურ სუნთქვას და მხატვრულ გამომსახველობას მიაღწია.

ქართველმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად მიაკუთვნა განუმეორებელი ქმნილებების — „ქართვის დედისა“ და „ვახტანგ გორგასალის“ ავტორს თანამედროვე ქართული ქანდაკების დიდოსტატის სახელი.

ქართველი ხალხი ამაყობს ელგუჯა ამაშუკელის ტლანტიტ, რადგან ამ მიწვევარ ტლანტიტის ძალამ მარადიული მხატვრული სიცოცხლე მიანიჭა ისეთ ნაწარმოებებს, რომელთა გარეშე ახლა წარმოდგენილია არა მარტო თბილისი, არამედ მთელი საქართველოც.

ჯერ კიდევ 1958 წელს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში ვახტანგ გორგასალის ძეგლის პროექტთა საკონკურსო გამოფენაზე ჩვენი საზოგადოებრიობა აღტაცებულა მოიყვანა ელგუჯა ამაშუკელის იშვიათი ნიჭის სიუხვემ.

ამ მეტად ძნელ ტურნირში, მრავალრიცხოვან და შთამბეჭდავ, ორიგინალურ და საუცხოო ცხენო-



საქართველოს
წიგნების
კავშირის
წევრი

სან ჭანდაცხათა შორის, რომლებიც ერთმანეთისგან განსვავებულნი შემოქმედებითი ხელწერის ნიჭით ოსტატებს ეკუთვნოდნენ, ახალგაზრდა მიქიტანავი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

პროეტთა ფართო საზოგადოებრივ განხილვაზე განმტკიცდა უმრავლესობის აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალის ჭანდაცხის ამასუველიყოლმა გააზრებამ დასრულა ამ იერსახის საბოლოო რეალიზაციასზე გამართული გრძელი კამათი. ელგუჯა ამასუველის პროეტმა პირველი პრემია მიიღო.

ხალხი ბრძენია და არასოდეს ცდება. ხალხმა იცის ნამდვილი ხელოვნების და რჩეულთა შორის რჩეული ნაწარმოების ფასი. ხალხმა ღირსეულად შეაფასა ელგუჯა ამასუველის ეს ქმნილება, რომელშიც ვახტანგ გორგასალზე ხალხში შექმნილ და საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულმა წარმოდგენამ ყველაზე საუკეთესო მხატვრული განხორციელება პოევა.

მესხეთე საუკუნის აღმოსავლეთის დიდი პროგრესული პროცენება — ვახტანგ გორგასალი, რომელმაც თავის სამართლიან ომებში მოღრეკა იმ დროის ყველაზე ძლიერი აგრესორები, გაათავისუფლა და გააერთიანა ქართლის მიწები, დაარსა თბილისი და საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საიმედო დასაყრდენი შეუქმნა, ჩვენი ერის გულში და მესხეთეებში ღრმად აღიჭმდა, როგორც სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მამაცი გმირი, დიდი მხედართმთავარი და ბრძენი პოლიტიკოსი.

ელგუჯა ამასუველმა შემოქმედებითად უზალოდ აღიქვა ვახტანგ გორგასალის ეს ეროვნული ხატება. მან შექმნა თავისუფლებისმოყვარე გმირი ქართველი ერის ძლიერი და დაურთგუნავი სულის შემმარტად ეპიკური, მაღალი და მარადიული სიმბოლო.

ელგუჯა ამასუველის ქმნილება მისწონს ქართველ ხალხს და მის სტუმრებსაც, მოსწონს ყველა იმამთ, რომლებსაც აზრიათ სილამაზის აღქმის უნარი გააჩნიათ.

ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვან კეთილ სტუმართა შორის ჯერ არ შეგვხვედრია ადამიანი, რომელზეც ვახტანგ გორგასალს წარუბოცილი შეაბედინ-

ლებდა არ მოეხდინოს. ამაში არაფერია გასაკვირველი. სრულიად კანონზომიერია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე კოლონიალიზმი სწინააღმდეგე ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ხალხთა ის წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენი სტუმრად ჩამოდიან, განსაკუთრებით სიმამითი იმსჯელებიან ამ მონუმენტისადმი. ეს ასე ხდება, რადგან ანამედროვე დიდი ქართველი

მოქანდაკის „ვახტანგ გორგასალი“ საბჭოთა კონსტიტუციით დამტკიცებული სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო შევავლობისა და დამოუკიდებლობის განხრს მებრძო შეამბედვი დამაჯერებლობით ეხმანება.

შეუძლებელია გადავადვს ელგუჯა ამასუველის ქმნილების იდეური რაობა და მხატვრული მშვენიერება. ქართული საბჭოთა სხვითი ხელოვნების ამ მებრძო მნიშ-

ვნელოვანი მოვლენიქ დრესტივტიქ სინდრე ვეცოდ და ღრმა ანალიზს მოითხოვს. ჩვენ ეს მოლოდ უზალოდ შეგვიხიბ იმ ძირითად თვისებებს, რომლებიც მორუშტურთა ქანდაცების ამ კვშმ-მარტად დიდ ეროვნულ ნაწარმოებს ახასიათებს.

„ვახტანგ გორგასალის“ ეთიერი დამახასიათებელი თავისებურება, რაც მნახველს ჭანდაცხის პირველი ხილვისთანავე იკერობს, მის პლასტიკურ დამიდარობასა და ექსპრესიულობაში მდგომარეობს. ეს მიღწეულია ამასუველისეული გარეგნულად მდგრადი და შინაგანად დამაბული, ენერგიული, მკვრივი და თავისუფალი ძერწვის მანერა, ძლიერ ემოციურ შემოქმედებას რომ ახდენს მაყურებელზე, ორგანულად განუყოფელია „ვახტანგ გორგასალის“, ამ მონოლითური და სასწიემოდ ზვიადი ნაწარმოების მკაცრ და დასრულებულ, ნათელ და გარკვეულ კომპოზიციურ წყობასთან.

„ვახტანგ გორგასალის“ კომპოზიციური წყობა უზალოდ ისევე, როგორც ამ მონუმენტის სხვა და განსაკუთრებით ძირითადი თვისებები. იგი გვანცვიფრებს თავისი ფართო და დატევილი ეპიკური რიტმით, რომელიც უპრეცედენტო კულმინაციას აღწევს ბრძენი და მამაცი მეუღლის და ხალხის წინამძღოლის, დიდი სახელმწიფო კოლფანის მაღლა ამართულ მარჯვენა ხელის ექსტრს — ქედხურხელ ძალის, რკინის წნებისყოფის და შეუმცდარი აზრის გამომხატველ ექსტში.

„ვახტანგ გორგასალის“ მარჯვენა ხელის მოძრაობის კონსტრუქციულ ანალოგის ქალაქის დამარსებელთა მსოფლიოში აღმართულ ვერც ერთ ცნობილ ძეგლზე ვერ შეხვდებით. მაგრამ ამ ექსტის მნიშვნელობა მხოლოდ მის კონსტრუქციულ ორიგინალობაში როლია. იგი არც შემთხვევით ნა-

ვახტანგ გორგასალი, ფრამენტო



3. საბჭოთა ხელოვნება, № 2. 1968.



ახალი პენსილვანია საპლაკაო სენაზე

პოენი და არც ფორმალური ელემენტია კომპოზიციისა. ეს არის „ვახტანგ გორგასალის“ კომპოზიციური არქიტექტონიკის ზენიტი, რომელიც მთელი ნაწარმოების ღრმა და ფართო მასშტაბური სახეობრივი იდეიდან კანონზომიერად არის ადამიერებული.

ამ ქმედითი და უფლებამოსილი ფესტი ვახტანგ გორგასალი არა მარტო ამჟამის თბილისს, არამედ სპარსეთისა თუ ირანის მდრინავ ლომებს უკუაქვევს საქართველოდან, და ამგვარად, ეს ფესტი თვით საქართველოს სიტყვიერებას განასახიერებს; საქართველოსი, რომელიც აგრეთობათვის გადაუღებავ ზღუდედ იქცა ამ ძლიერი ქართული მეფის მმართველობის დროს. დიხასე „ვახტანგ გორგასალის“ ესოდენ დიდებული ფესტი, უპირველეს ყოვლისა, ღირსშესანიშნავია და საინტერესოა სწორედ იმით, რომ იგი მიეკუთვნება ისტორიული თემის ღრმა გასნას უწყობს ხელს და, რაც მთავარია, ამ ქანდაკების, ამ ჭეშმარიტად ჭეირიული — მხატვრული ქართული ეპოქის, ამაშუკელის საჭრეთლით გამოკვეთილი ეპიური სიმფონიის საზეიმოდ დამავგორავიებული და აუცილებელი კომპონენტი.

„ვახტანგ გორგასალის“ ეპიკურ სიდიდეს მასში გამოსახული ლომისებური ცხენის ძლიერებაც განაპირობებს, ცხენისა, რომელზედაც როგორც სახელმწიფოს შეურყეველ ტახტზე, ამაყად ზის ეს „მთათა მდრეკავი“ გოლიათი.

ეს ის მამანტია, რომელსაც ქართველმა ხალხმა „ქალაქთა მუფე დედის დიდი მწყემსი“ უწოდა და ნაყოფიერების წარმართული ღმერთის კეთილშობილი თვისებები მიაკუთვნა.

ეს ის ჯანით და სულით ძლიერი გოლიათია, რომელიც ჩვ. წ. III საუკუნეში ქრისტიანული (იმ დროისათვის პროგრესული) იდეებისათვის მამაცად იბრძოდა და სრულიადც არ არის საკვირველი, რომ ე. ამაშუკელის შორეულმა და უცნობმა წინაპარმა იგი ლომზე ამხედრებული და არა მსუბუქ და ფიც არაბულ ბეადარზე შემჯდარი გამოხატა.

ელგუჯა ამაშუკელის წინაპარი კოლეგები ზერელე აზროვნების და მსუბუქი ალტინების შემოქმედნი როდი იყვნენ. მათ გარკად იყოლდნენ, რასაც ეპიოდნენ და ქმნიდნენ კიდეც ეროვნული მხატვრობის

უკავებ ნიმუშებს. და აი, მათმა ღრუხულმა მემკვიდრემა გვიჩვენა თავისი შემოქმედების შეუმცდარი ძალა. მან ლეგენდარულ გმირს, ვახტანგ გორგასალს, რომელიც „იალბუხსაც აზნაზარებდა“, მთიანამე-მოკრითი წერილფეხა თისარითი ე არ შეურჩია, არამედ ლომსავით ძლიერი რაში. შეხვერებს ელგუჯა ამაშუკელის „ვახტანგ გორგასალს“ და გულს რომანტიკულ-პატრიოტული სიამის გრძობით ავსებს მისი პოეტური მსგავსება „იროსი ძუძუნაწივთ ჭახტვ გოლიათთან, რომელიც ქართულმა ბუნებამ შვა და რომელსაც მხეცები დაემორჩინენ“.

ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკების ექსპრესიული ნიშან-თვისებები თავის საწყის ქართული რელიეფური პლასტიკისა და კედლის მოხატულობის თავანჯარა წყრობიდან იღებენ და ამაშია სწორედ ამ ამაღლებული ქმნილების ეროვნული თავისებურება, მიმზიდველობის ძალა და სიმართლე. „ვახტანგ გორგასალის“ ამაშუკელისეული ძეგლის ძლიერი და შთამბეჭდავი მხატვრული ენა, როგორც აღინიშნა, თავისი ფესვებით ქვისა და ლითონის მამაშატრულად ამტყვევლების მრავალსაუკუნოვან ქართულ ტრადიციებს უკავშირდება.

ამ ძეგლის სათავე ძველ ქართულ მინერატურ ფრესკულ ხელოვნებაშიცაა. ამაზე მეტყველებს თვით „მხედარ გორგასალის“ სინატიფე და სიდიდე, ჭეშმარიტად ქართული, თავისთავადი, და მთელი ქანდაკების დახვეწილი და მგავთი გრაფიკული გამომსახველობის სილუეტით.

ეს მშვენიერი და დიდებული ძეგლი მოწმობს ელგუჯა ამაშუკელის უზადი უნარს — შემოქმედებითად აღიქვას და მალაღსნატურად გამოიყენოს ტრადიციის უმრეტ წყაროთა ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულებანი თანამედროვეობის იდეურ-ესთეტიკურ მოთხოვნებთან და საკუთარი მხატვრული გემოვნების, ხილვის შესაბამისად.

ეს რატომაა ამაშუკელისეული „ვახტანგ გორგასალი“ ეროვნული, თანამედროვე და სიციცხლისუნარიანი. აი რატომ შეგებამ იგი თანამედროვე თბილისის გარემომცველ ჰეიჯას და ჩვენს ეპოქის ეპიკურ დინებას გაკვეთა სამარადისოდ.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისა და ბაღელტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სენაზე მე-20 წელიწადი წარმატებით იღებება კომპოზიტორად. თორამის ბალეტი „გორდა“ (ლიბრეტო ით. ევაძის, პრემიერა 1949 წ. 30. XII). მაღტატ ლეიტმოტივად გასდევს პატრიოტული თემა და მის ფონზე იზრება გმირთა მღელვარე სულიერი სამყარო, ვითარდება გორდას, ირემსა და ჯავარს სსიყვარული დრამა.

დამდგმულ რეჟისორს სსრკ სახალხო არტისტს, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატს ვ. ჭახუკიანს საქეტივი გადაწყვეტილი აქვს ჭეირიულ-რომანტიკული მლანში, კლასიკური და ეროვნული ჭორფორავის ტრადიციების ურთიერთშერწყმით.

„გორდამ“ დადგმის პირველი დღიდან ყოიპკრო სსრკადრებობის მიერ დადგმა. ამ სპექტაკლს სხიარული შეხევა და ჭრთველი ხალხი. აღფრთხილებით მიიღეს მოსკოვსა და ლენინგრადში... მაღალი შეფასება მისცეს მას უნგრეთსა და საფრანგეთში...

გორდას სწორუპოვარი სახე შექმნა ვ. ჭახუკიანმა. მისი გორდა გმირული პათოსით, რაინდული კეთილშობილებით, პლასტიკური გამომსახველობით აღფრთოვანება მაცურებებს. ვ. ჭახუკიანს ირგება აღსაქვე იყო განცდათა სწრფეველი და ლირიზმი. მაღლვარე დრამატუზმით გამოირჩეოდა ი. ალექსიძის ჯავარი. გორდას თვალსაჩინო სახეები შექმნეს ზ. კიკელიძემ, თ. სანაძემ, ბ. მონავარდისა-შვილმა. ირემსი ი. ა. ჯანდი-

ჯავარი — სეეტლანა აბულაძე



ერმა და ლ. ნადარეშივილიმა, ჯავარასი — ლ. მითაიშვილიმა. ამ რამდენიმე ხნის წინ „გორდაში“ პირველად იცეკვეს ჩვენი თეატრის ახალგაზრდა სოლისტებმა ვ. აბულაძემ (ჯორდა) და ს. აბულაძემ (ჯავარა).

ვ. აბულაძე 1963 წლიდან საბალეტო დასის სოლისტია. მან უკვე მოიპოვა მაცურებელთა სიმპათია. ბალეტ „სინათლემი“ შესარულა ავთანდილის პარტია, პრინცი — „მძინარე მზეთუნახავში“, ჭაბუკი — „განთიადში“ და ს. ცინცაძის

„პოემში“. გორდა მოცეკვავის ასალი ნამუშევარია, ჭაბუკური გატაცებითა და შემართებით იყო აღსავსე მისი გმირი. თვალსაჩინო ვახდა მოცეკვავის ტექნიკური მხარე, ემოციური გამოხმობაზედ. შთაბეჭებით ჩაატარა ლირიკული ეპიზოდები.

ს. აბულაძეს კარგად იცნობს მაცურებელი. იგი 1955 წლიდან ცეკვავს ჩვენს სცენაზე. წარმატებით ასრულებდა ფერია იასამანს („მძინარე მზეთუნახავში“), პასკუალეს („ლაურენსია“), ბიანკას („ოტე-

ვლტოეპა
პავლე
შვიპინაოსი



ლო“), კაპასას („გერია“), ქალიშვილს („განთიადი“)... ახლა კი ს. აბულაძე ჯავარას შემსრულებლად ვიხილეთ. მოცეკვავემ ჯერ მომიზიბლავი, კეკელუცი ქალიშვილი წარმისახა, გატაცებული ცეკვით გადმოგვცა სიყვარულის გაღვიძება. შემდეგ კი განსაკუთრებული გამოხმობით გადაგვიშალა უარყოფილი სიყვარულის ტრაგედია, მთელი პარტია მშარდი დრამატიზმით წარმართა, კარგ საბალეტო ტექნიკასთან ერთად გარდასახვის უნარიც გამოავლინა და ჯავარას ნიჭიერ შემსრულებელთა შორის ჩადგა.

კიდევ მრავალ შემსრულებელს გამოავლენს შესანიშნავი ბალეტი „გორდა“. ეროვნული საბალეტო მუსიკისა და ქორეოგრაფიის ამ მაღალ ნიმუშს ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე უწყურია, ვინაიდან იგი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, გმირობასა და თავდადებას, სიცოცხლისა და სიყვარულის სიხარულს უმღერის.

ნათელა საინივილი

ქინემატოგრაფი და მსახივრის ესთეტიკური აზროვნება

ნოდარ ჯინჯიასვილი

1. „მეოთხედიანი“ და „მეცხრედიანი“ ხანის კინემატოგრაფია... მარკ ტვენს უთქვამს — იუმორი სიხარულის კეთილი მხარეა. ამ სიტყვების საილუსტრაციოდ გვასვენდება ხუმრობა ფრანკ პორტიეზე: ჩვენს ოტელში, — გვიამბობს იგი, — განსაკუთრებით პატყვასემ სტუმრებს ნაპოლეონ ბონაპარტეს აპარტემენტებში იღებენ. ეს ოთახები არანაყოფი წარმატებით სარგებლობენ მას შემდეგ, რაც იქ ერთი დღით შეჩერდა ბრიჯეტ ბარდო...

ამ ხუმრობაში ჭეშმარიტება მეტია, ვიდრე შეიძლება მოგვეჩვენოს. ფრანკ პორტიეს კინემატისათვის პირველი პოეტური ლაბორატორია არავის უდებს. რით უნდა ახსნას ეს? — ხელოვნებათმცოდნე ილაპარაკებს მისი გმირების განსაკუთრებულ ტიპიურობაზე, სოციალური განაცხადებს — დროის იცვლებიან და ვერცხვები იცვლებიან, ფსიქოლოგი დაუძაბდება ქალის სილამაზის ასალი ეტალონის დაუწყველ და ტოტალურ ძალაუფლებას... მაგრამ არის სიმართლის კიდევ ერთი მხარე: ბე(ბრიჯეტ ბარდო), მმ (მერლენ მონრო), კკ(კლავდია კარდინალე) და ა. შ. მხოლოდ იქი უნდა ვხედავთ და შევიტოვოთ არიან, რასაც ბურჟუაზიული კინემატოგრაფს ვუწოდებთ. ხოლო კინის ძალის ამა დროის სახის განსაზღვრავში მისი როლის გადაფასება შეუძლებელია. ალბათ, ჩვენი დროის ზოიანი ნარკვევს თანაშემდეგე კულტურულ ყოფაზე კინოთი დაიწყება. სტატისტიკოსები ვგაოცებენ კინოტრეზუბში დასწრებისა და კინოსალაროების შემოსავალთა გასაყარო, ჭეშმარიტად ატრონომიული ციფრებით. კინოს სიცოცხლური ძალა და მისი გავლენა ადამიანზე არაქვეულობრივად დიდი აღმოჩნდა. თავის დროზე კომპანიაც გაჩაღდა დღესუბით: „კინო არცის მაგიერ“, მაგრამ კინოს საზოგადოებრივი ძალა მისი ესთეტიკური ძლიერების შედეგია.

კინემატოგრაფი მხატვრული განვითარების არანაკლებ სისწრაფით ჩვენი ეპოქის ესთეტიკური დონისადაც იქცა. თუ ანტიკური ხანაში ყველსზე მეტად განვითარდა სკულპტურა, ხოლო შუა საუკუნეებში — არქიტექტურა, თუ რენესანსი განსტატყვებდა ფერწერის ბატონობას და თანაც ისე ურყევად, რომ თვით მუსიკასაც ეს პლასტიკურობას „მატებდა“, თუ რომანტიზმის ეპოქაში პოეტები და პროზაიკოსები ისწრაფებდნენ სიტყვის „მუსიკალიზაციას“, ხოლო მიმდინარე საუკუნეში სიტყვა უკვე თვითონ მოიპოვებდა ფერწერისა და მუსიკის, ალბათ თანამედროვეობის მხატვრული დერტი ელემენტ უკავია.

20-იან წლებში ა. პორტოგუსემ წამოაყენა ტერმინი „ხელოვნებათა კინოფილია“. ტერ-

მინი არ დამეცოდნა, თუმცა კინემატოგრაფის გავლენა ტრადიციულ მხატვრულ დისციპლინებზე უდავოა. „თანამედროვე მაცურებელი კინემატოგრაფიულ აზროვნებს, — წერს გ. ტოუსტროფი. — თანამედროვე თეატრალური ატროები, რეჟისორები, აქტიორები, ასევე ვალდებული არიან კინემატოგრაფიულად იაზრებნენ“. პოეტი ოლია სულვინსკი აღნიშნავდა — „თურმე კინოკადრებით ვაზროვნეს“... მაგრამ მიამიტობა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქმის „კინემატოგრაფის საუკუნე“ ძველი მუშების კვდომას იწყვედეს. დღეს აღიარებულია, რომ ერთი ხელოვნება მეორესაგან განსხვავდება არა მარტო ერთი, არამედ ყურადღების საგნითაც. ამიტომაც მათი „ადრევა“ შეუძლებელია. 1926 წელს კინოს უსახლდრო პოეტისკურებით გაოცებულმა ს. კიუნენშტინმა, თეატრს სახისი უწოდა და დასძინდა: „უახრობა სახისის სრულყოფა. გამოვიყენოთ ტრაქტირი“. შემდეგ კი ცხოვრებამ და თვით რეჟისორებმაც უარყვეს ეს „იდეა“. კინემატოგრაფი თავისთავად არავითარ ავადმყოფურ რღვევას არ იწყებს ხელოვნებათა სფეროში. პირიქით — „კინო ლიტერატურების ზოგატორია“ (მაიაკოვსკი). მისი განვითარება თითქმის სტემულს აძლევს სხვა ხელოვნებათა მხატვრულ პროგრესს. ეს საკითხი ერთობ საინტერესო და რთულია, მოითხოვს ცალკე და სეროულად შესჯლილბას.

გავისწნოთ მაიაკოვსკის სიტყვები: „ТОСКОЮ К ЛЮДЯМ ВЕДОМЫМ — ИДУТ В КИНОМАТОГРАФИИ...“ აქ მთავარია ის არის, რომ ფილმების სწრაფი გავრცელება, კინოს ფართო ხელმისაწვდომობა აკავშირებს და აერთებს ადამიანთა მასებს ერთიანი გრძნობებით, აზრებით. სწორედ კინოს ამ თვისებამ მიანიჭა სიცოცხლე მოსაწყვენ, მაგრამ ზუსტ ტერმინს — „მასობრივი კომუნიკაციის საშუალება“. პრესა, რადიო — მხოლოდ ინფორმაციის ანგაზაა. მუსიკის გამტარებელი არაა. ხოლო არცერთ ხელოვნებას არ გააჩნია ისეთი შესაძლებლობა, ადამიანთა გავითარებისა, როგორც კვანძის სავი პოპრესულ ბუნების კინო ავლენს სტივდ იმით, რომ ხელს უწყობს ადამიანთა ურთიერთგაგებას, მათი სულიერი ენერჯის მიმოზრციასა და ერთი მიზნით წარმართვას. თუმცა აქ არსებობს ერთი „მაგრამ“. ახლახანს კოლუმბის უნივერსიტეტის პროფესორმა დ. გელმა განაცხადა, რომ „კავშირის მასობრივი საშუალებების“ პირველი რიგში აქ — კინოს წყალობით „პირველად ამერიკის ისტორიაში გაჩნდა იდეების, სახეებისა და გაროობების ერთიანი სისტემა“. ამ სისტემის საფუველი ჩვენთვის საიდუმლო-

ბით არ არის მოცული; ისიც ვიცი, რომ 30-იან წლებში გერმანიის ისტორიაში პირველად გაჩნდა „იდეების, სახეების და გართობების“ ერთიანი ფიზიკური სისტემა, ვიცი, რომ მის დამკვიდრებელს უკავიაწელ როლს რადიო ასრულებდა კინემატოგრაფი. მაგრამ ეს ფაქტი არ ხსნის ცერანის ხელოვნების პროგრესულობის თვისის. ატომი პირველად „გამოიყენეს“ ხირისმამი, მაგრამ მას იყენებდა დუნაშინი, გასულილი ზუსტული ადამიანის გინის გამოვლინება. ატომული ორთქი წლის წინაა. ბუნარასკიმ გამოსთქვა აწის, რომელიც დღესაც აქტიურად ელერს. „კინო არა მარტო კინემატოგრაფი ეპოქის ხელოვნებაა, არამედ სოციალისტური მშენებლობისაც“.

ისმება კითხვა: როგორ მოქმედებს საზოგადოებაზე, ამ უფრო ზუსტად — რა ცვლილებებს და ძვრებს უწყობს ახალი, ხელოვნების უფრო მასობრივი სახე ხალხის ესთეტიკურ შეგნებაში. ეს კითხვა ამო არ არის, რადან მასზე სწორი პასუხი გვემართება უფრო გააზრებულად და ვეფქტურად „ავაივით“. წარგამოთოთ ადამიანთა მხატვრული აზროვნება. ამიტომაც, გასაოკარია, რომ ჩვენი ესთეტიკოსები ხიოლენ მცირე ყურადღებას უთმობენ მას. დასაგლეოთ ეს უკვე შეიქნას დამოუკიდებელი „პოპულარულ ხელოვნებათა თეორია“. იგი მაინც და მაინც ოპტიმისტური ხასიათისა არ არის; „ჯერტლებით, თვალი უმთავრობის სინამდვილეს — წიგნი განწირულია... სადაც და დავდება დრო, როდესაც საბოლოო სპეციალურად მიიწვევენ ადამიანს, რომელსაც კითხვა იცის“ (ქრისტოფერ ნევილი, პოეტი). „როდესაც ფილმს ვუყურებ... რეჟისორო ადამიანს სადაც ხელოვნებას ვტრება“ (ინგმა ბერგმანი, კინორეჟისორი). „კინო, — თუ ეს მას ხალხურობას სწავია, მაშინ ის არის პაპანოვი, მაია, პარანოია, პალუცინაია, დემიურგი, იდეოლოგი მხოლოდ“ (რაიმონ ბაიე, სორბონის პროფესორი). „ყველაფერი — მხედველობისათვის და არაფერი — ჭკუისათვის. ჩვენს შთამომავალს ენებთა ნესისგანდაც თვალბინ, მაგრამ ჭკუის ნაჭამალიც კი არა“ (დ. კროსი, ამერიკელი ფილოსოფოსი). ამგვარად, ხელოვნების ახალი დროე — კინო, რომელმაც თავის აუდიტორიად თითქმის კაცობრიობა აქცია, ესთეტიკური შემქნენის დაცვისა და უცლობელი რეგრესის მიზეზად მიანიათ.

ბურჟუაზიული ესთეტიკოსების აზრით, ხელოვნების „გამასიერება“ მის დეკლემანციას იწყებს. ჟურ კიტანდ გახლს საუკუნეში მხატვრული კულტურათან ხალხის ზიარებას აღწფოთებაში მოპყვდა ფრიდრიხ ნიცშე, აუვად



ისხნიებდა ვაგენრს იმის გამო, რომ იგი „სქანაზე ანალოგად ხელოვნებას“, რაც მასს ადავობდა. წარმოსადგინა რა გამოთქმები შეამოძრა ნიციელ ლემერს, კინო მის ეპოქაში რომ ამოვიყინა.

უკანასკნელ მას ბევრს სწავრებ კინოში ე. წ. „მაკრატისა“ მონტაჟის დასაბრუნოს შესახებ. ბევრი პესიმისტირად აცხადებს — კინო ეს სუფიერის მას, „მაკრატისა“ მონტაჟს უნდა უმაღლოდესო ხელოვნებად გახდომას. ასახელებენ ეიზენშტეინს, პლდორფს, გრეიფებს. ახლა კი კინო კარგავს თავის საკვირივო კაღსოს. მაგრამ შიდაკადრობრივ მონტაჟს, რომელმაც „მაკრატისა“ მონტაჟი შესცვალა, თავისი მთავარი სათქმელი ჯერ კიდევ არ უთქვამს. ის კი შეიძლება ვივარადოთ, რომ იგი არამც თუ აფერხებს კინოს მხატვრულ თავისებურებას გამოვლენას, არამედ, ზოგჯერ, კიდევ უფრო ღრმად აჩენს მის ჭეშმარიტად უსაზღვრო პოტენციალს. გამერისა და ობიექტივისი შორაობით წარმოქმნილი ახალი მონტაჟი, ალბათ, კინოს საშუალებას მიეცემს მიაღწიოს იმას, რისკენაც ისწრაფვდა ხელოვნება პომპროსიდან მოყოლებული: — ჩაიხდოს ადამიანის სულის სიღრმეებსა და ინტელექტში, ჩაისწავლოს მას, ასახოს.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიიდან ვივებოლოთ, რომ უბო გამოიხატება არა მარტო ადამიანის მოქმედებით, იგი „სახეობრი“ და „ფილოსოფიური“ თავისთავადაც, არა მარტო ლოგიკური და ემოციური აღქმა სინამდვილისა ადამიანის გამო, არამედ სულიერი პროცესიც კი თვით წონდა აზროვნების სფეროშიც — აპირიანი — თავისი ბუნებით გრძნობადი, ხილვადი და სასოფიანია (ს. კორნეილი). ამის შემდეგ უკვე აღარ გვეჩვენება უნათობად ეიზენშტეინის, „ინტელექტუალური“ კინოს თეორია. ნათელი ხდება, რომ სულიერი სამყარო „კინოტეორია“. დღეს ე. წ. შიდაკადრობრივი მონტაჟი გამოხატვის უშუალოდ აზრის „ჩვენებისაგან“. ასეთი კინმატორგრაფი უკვე დაიწყო.

ფილმში „დღდა იოანე ანგელოზთაგან“ არის ქსონძის სურინისა და ცადიკის კამათის ეპიზოდი, რომელიც სიყვარულისა და თაღულის შესახებებს გამოხატავს. ფილმის ავტორი ე. კავალოვიჩი როგორღობით გვიჩვენებს მიკამათებს. კამერა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს აწყვდობს და ამგვარად წარმოგიდგენს გმირის დაბნეულ ცნობიერებაში გრძნობისა და გონების მიმოქცევის, ამრავად, გენებით შეპერობილი სურინიცა და ბრძენი, მაგრამ დაუნდობელი რაბინიც თვით ქსონძის ორ იპოსთასად აღვიქვამთ.

ფილმ „მ.წ. ან გმირის — გულოდ ანგელმის ისტორიის ფილმი „იწყობა“ პირველ და დახუთულ მიწისქვეშა გვირაბში, რომელშიც მანქანები ჩაიჭრებიან. ერთ-ერთში იმყოფება ანგელმის კინოკამერის ეპიპოტევი გაიკვირებული მის მურგასთან. იგი იწყებს ადამიანთა საბუნების მდგრად პანორამას: ფემინისტურ სოციალისტის ფეოდალი, კრწანულიდან სახემოქმედილი ასობიოტიკოსი, კონმიოტივებული

ობიექტული, ვილჯ დიაციის სახე, დასრულილი და დაღლილი თვალები... კამერა ნელა გამოდის გვირაბიდან კამკაშა სინალოზე... ასე იწყება კინომითხრობა პატიოსანი, მაგრამ სუსტი ადამიანის სინდისის ქეჩაზე, რომელიც ცდილობს თუნდაც ერთხელ ჩაისურთოს სუფთა პატივი მისი თანამედროვე სამყაროს გავულ გვირაბში.

ბოლოს, გაივსინოთ თავებრდაშეხვეი პანორამა ფილმიდან „მე ვარ კუბა“. იგი შესანიშნავად აღწერა ი. ვარშავსკის: „ხიზოპანგრაფი თანაღობებს მიდრეული ოტლის სახარავიდან გაკაშკაშებულ სამყაროს, მერე პაპანაქებისაგან გარინდებული ვივება დაბლა — წყლიდან, ნებივრობის სივრცეში, შემდეგ ისევ მზისაკენ მიიღებს და ბოლოს კვლავ მონადვე ზღვაში იხიბება. აქ თვით პლანის ხანგრძლივობა შესასაშუბა განწყობილებას, ისევე როგორც ზოგჯერ მწერალი აჭიანუებს ხილვადი ფრასს, გარკვეული მიზნით, თითქმის, უსასრულოს ხდის მას“. დავსინიოთ, ეს ზოგჯერ ხდება ადამიანის აზროვნებაშიც. ამას უკვე მიაღწია კინოვაც. მიმავალი კი უფრო მეტ „აბმოჩენებს“ გვიჩვენებს.

2. Amicus Plato... მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო ძვირფასია!

შეჩდინი, რა თქმა უნდა, სახალხო მწერალი, მაგრამ სლავიანთფილი სლავიანის გული მისიღობა — მის წიგნებში ქეჩისმხამათივებული უფუნური არიან, ხალხი უფრო უაზრული... ვირწყურნი, რომ სუფიერი ჭეშმარიტი ხალხმწიფრე იყო, აკი თვითონ ამბობდა: ხალხი რომ უაზრეთო, მამ რაღა უნდა ვერა... მითო... მაგრამ ეს იყო მოწყვად, ბუნდაცაუკერი სიყვარული. შეჩდინის მითხრობებიც დასაბრები კი დადასტურება სატიროსის მკაცრი და უფრო ღრმა სიყვარულის მომბოთური ხალხის მიმართ. და თუ ზოგჯერ მას „უფუნურსაც“ უწოდებდა, მხოლოდ იმიტობა რომ ხელოვნა სინდისი ნებას არ აძლევდა დადგომულიყო. ჭეშმარიტება უფრო ძვირფასად მიაჩნდა, ვიდრე არასრებული იდლია. და იქნება შეჩდინის სიმართლის დადასტურება მის ფაქტები, რომ ხალხი არ კითხვობდა და მის ნათხრობებს, არ ესმდა ისინი, და-ბოლოს, არ უყვარდა თავისი ჭეშმარიტად სახალხო მწერალი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ლევ ტოლსტოიმ ჩაატარა ცდა, რომლითაც ბრწყინებულ ნიმუში შესძინა ექსპერიმენტულ ესთეტიკას. ცდამ ცხადყო, რომ ათიოდე იანსოპიანელი გლეხი, მიუხედავად მათი იდეალ „კანმანათილებლის“ გულმოდგინებისა, დიდის გაკვირებით იმისმდე არა მარტო დიდი რუსი კლასიკოსების რომანებსა თუ მითხრობებს, არამედ შეხარებით ისეთ მსუბუქ საკითხავებსაც კი, როგორიცაა სკოტისა და დევის ნაწარმოებები. ეს მსაგიფრეო ბაზრულ, პრიმიტიულ და არაფორმალულ ლიტერატურას აღტკლებს მოპყვად ისინი. თვით ტოლსტოიც ხომ ძველ რუსეთში უმნიშვნელო უმცირესობისთვის იყო ცნობილი. ამ მწერალ სინამდვილეს მნიშვნელოვანი მიზეზი გააჩნდა — ხალხის საუკუნობ-

რივი ჩამორჩენილობა, ხელოვნებისგან წაშორება.

რუსეთის კოჭა, რომელსაც დროის მიხედვით ეიზენშტეინს ხალხის მოწყვეტა მხატვრული შემოქმედებისაგან, აღინიშნება იმით, რომ ხელოვნებას „ინდივიდუალის ამგვარ“ გამსჭვალავს (კველი). ჭერცენი ეწოდება — „ახალი იბოროის თვალვიდან სულ სხვა სიღრმე გამოირიოს, ვიდრე ბერძნული ქანდაკებათა იმის, უსინათლო თვალვიდან“. იმ დროს აღნიშნული ხელოვნება გრეგორიად, ხალხისაკენ მოწყვეტილად, განგრძობდა ვითარდება. ვიანი აღორძინების ოსტატები — მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინი უფრო ღრმად და სრულყოფილი იყვნენ, ვიდრე კასტინო თუ ბინტერი, მაგრამ მათ ხალხი უფრო ნაკლებ იცნობდა, ვინმე დაწყებითი კატორჩინტის მხატვრებს.

პაროდიალური: ხელოვნება რომ მისებთან ერთტატემ ვითარდება. ეს არის მისი დანიშნულება. მაგრამ მიუხედავად ამისა, რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში თუკია კი გამოსატყდა ხალხის ფიქრსა და გრძნობას, მანინ რჩებდა ხალხისათვის გაუგებარი, მიუღებელი. მაგრამ პურსდნადატეხულის სანახაობებამდე რა ხელი ჰქონდა. „საზრუნავით დატყავებულს ყველაზე მშვენიერი სანახაობაც კი შეუმჩნეველი და აღუქმელი რჩება“ (მარსია).

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, საზოგადოებრივი პროცესი ანა. შ. განმობდა, ერთის მხრივ, თვითული ადამიანისთვის მეტი თავისუფალი დროის აღმოჩენით, ხოლო, მეორის მხრივ, მისი სულიერი თვითშეგნების განმტკიცებისაკენ სწრაფვით. ასე დაიწყო პროცესი, რომელსაც ზოგიერთმა ფილოსოფოსმა „ხელოვნების გამასიურება“ უწოდა. გასაგებია, აგრეთვე მნიშვნელოვან მხარდა „მითხოვან“ სანახაობის ფორმებზე, ისეთ ვანტებზე, რომლებიც ხალხის მარტივი მხატვრული შემეცნებისათვის უფრო ადვილად მისაწვდომი იქნებოდა. განსაკუთრებით ვითარდება ცირკი, ესტრადო, პანტომიმი. 1902 წელს ჩეხოვი თავის მემულის სერდა: „ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ვიდევლი მალე... შემოვა მოსკოვი“. ასეც მოხდა, რაც ამ ეპირის ადვილად მიმსწვობობამ, მისი მღა სანახაობითამ განაპრობა.

სწორედ ამ დროისათვის გაიშინდა კინმატორგრაფი. იმთავითვე ნათელი გახდა, რომ იგი შემოიჭრება მოლინობით მსაყურებთან, იმით, ვინც დიდხანს მსაყურებლი იყო მხატვრულ კულტურას. უფრო მეტიც მოხდა — ისინი კინოს მხატვრული ბედის დამტკიცებლადც იქნენ, რადგან ხელოვნების სხვა გარემოებისაგან განსხვავებით, კინმატორგრაფს თავისი ესთეტიკური ბუნებით არ ახასიათებს „მთელადრული“ და „ელტრადო“ ფორმათა მპრობადი პირობებები. იგი თითქმის იმთავითვე იპოვებოდა იყო ყველაზე მეტად დათქვიანა ანგელოზის ხალხის გემოვნებისა და მოთხოვნილებებისათვის.



ამგვარად, კინემატოგრაფის წარმოქმნით კიდევ უფრო გაღრმავებულ ხელოვნების დემოკრატიზაციის თავისებულ პროგრესულ პროცესს, სხვა მხარეე გაუჩნდა: მისი ძალაუნებური გატოვება მასების განვითარებულ ესთეტიკურ გემოვნებათან. აი რატომ წერდა უსლდი: ინგლისში ყველაზე მეტად ვითარდება ხელოვნების ის დარგები, რომლებითაც სასოგადოება ნაკლებადაა დაინტერესებული. ჩვენ იმიტომ შევექმეთ შევექმნა სილამაზით აღსავსე ლირიკა, რომ სასოგადოება მას არ კითხვობს, მასასადამე გაეგნებათ ან ახედნს მასზე. მაგრამ მოხდა ისე, რომ თვით ლირიკასა და შემოქმედების სხვა ფორმებზე შეგვედინის მოხდნა დაიწყო კინემატოგრაფმა. თუმცა ეს გველენა გამეფეფიობიებული: კინემატოგრაფის ეპოქის მკითხველი ეს უნარად მკითხველი როდია, მას უკვე კინომაყურებლის მდიდარი გამოცდილება გააჩნია... მაგრამ თავის მხრივ, პერიოდიული ფილმის ხალხის ესთეტიკური შეხვედრების წამილწველი ხდება. ერთ დროს, ვინ იცის რამდენი მილიონი ადამიანი სუნთქავდა მკურთხელობის ადგილებზე და თვალს კიწორდავს. რომლის გმირ ქალს მცირეწლოვანი ბიჭუნა დაესწრო ზღვაში, რადგან — ცოდვა გატყდა სკოლაში — დედამ უკურადღებოდა ერთგვა იგი და გრძელფეხება ოფიცერთან ერთად ბუჩქებში მიიძალა... სულ ახლახანს კი ყბადღეული „უენობი ქალი“ სიზღვედა მარგალ გულწილი „კინომანს“. რადა თქმა უნდა, მსგავსა კინოფილმების აღზრდილი მაყურებელი ბევრს ვეღარაფერს გაუგებს ტექნიკურად ხელოვნების ნაწარმოებს. ალბათ, ხელოვნებათმცოდნეობის და სოციოლოგიების ერთიანად დაგვიანსმებთან ამასში.

რად გამოვიდა, კინო მართლა ესთეტიკური ღობინავია? — ეს შეიძლება მოხდეს თუ:

კინემატოგრაფს შეეძლება დაეუთმოს ნარკოტიკის, თუ მას მასების გამოსააყვანებელ საშუალებად გამოვიყენებთ. ამერიკელი

კინომცოდნე უილიამ საისი წერდა: „თუ ხალხი ცუდად ცხოვრობს, შეიძლება ქვეყნა გაწითლდეს. მაგრამ მიყვით საიამაში და დამშვიდდება“. იგი სანახაობაში გულისმიერად კინოსტორიებს ჯეიმს ბონდებსა თუ ბუენიზებს, ე. წ. ქალთა საინტენუო ოთახების მომხილავ რაინდებსა თუ ახვორც მადუნებლებზე, რადგან ისინი უფრო სამხედრო მოქმედებენ.

ამას წინათ რევოსორი ლეონიდ გაიდაი „გავაგვილი ტყვე ქალით“ შევიდა დაღურწეუბნით, თითქმის კავკასიელა ყველაზე პოპულარულ საქმიანობას წარმოადგენს ასაკგადასულ სამხრეთულ მამაკაცთა ბევრ ჩრდილოელ ქალწულთა გატაცება. ბევრმა დაუგურა ფილმს, ვინაიდან თავისი ფორტოფილი მუნებთ კინოს მაქსიმალური დამაჯერებლობის უნარი შესწევს. აი, რატომ არის, რომ სიცრუე ვერანზე ყველაზე სახიფათო სიცრუეთა შორის. პოლიეუდელი „პარამუნტის“ მფლობელი აცხადებდა — არავითარ ტენდენციას არ დავუშვებ, მე ვაწარმებ მხოლოდ ზმანებებს, საიმუნებთ აღსასველ ღამაზე სიხმრებსო. მაგრამ, ჯერ ერთი, ხელოვნება არ შეიძლება იყოს ნეიტრალური, იგი მცდარია, ან მართებული. შუაღიდი არ არსებობს. მეორე, კინოსიზმართა წარმოება — ეს დასავლეთის კინოს ღრმად გააზრებული პოლიტიკაა. ამის შედეგად მილიონობით ადამიანი, „სიზმართა ფაბრიკა“ მითინებებულნი ტემპარტი წარმადგენს კარგად ცხოვრებაზე, ახე იყვე ბურჟუაზიული კინო არა მარტო ესთეტიკურ, არამე სოციალურ ღობინავდაც.

მოვაკინო გარემოება, რომელიც ბურჟუაზიულ კინოს ადამიანის მსატკრული განვითარების მუხრებად აქცევს, უაღრესად სოციალური ხასიათისაა. ჩვენს სასოგადოებაში კინემატოგრაფის ესთეტიკური მისიაა არა ხალხის გამოთავყვანება, არამე პირიქით: მსგავსად ხელოვნების სხვა დარგებისა, თა-

ნამხრეობების მსატკრული არცმცქნა „ამდენად გასაგებია, თუ ჩვენში არსტოსისწმკს ნარკოტიკთან გაიცივეულ კინოსთან ბრძოლის საკითხი. სამაგიეროდ, ვაუწყებს სულ სხვა: არ შეიძლება უმეტიყენულად აისახოს ის ფაქტი, რომ ერთ წელიწადს ვეგობტურ ფილმს „შეაი სათვალა“ დასწრო კაციღებით მტიკ მაყურებელი, კიდრე ე. კულუაზნოვის ლირიკულ ფილმს „ისიყვე რველს“, მ. კალატოზოვის პოეტურ სურათს „მე ვარ ეკუა“, ს. ფრაკაიანოვის „მივიყველთ წინაბართა აზრდღობს“ და პოლიეუდელ ა. მუნეს მალაღმოქალაქებობი ფილმს „მეზავრ ქალს“ ერთად აღებუთს, ხოლო კოზინცივის „ამბლები“ 25 მილიონით ნარეულმა მაყურებელმა ნახა, ვიდრე ინდური ფილმი „გენა და ჯანა“.

ამ პრიბოლმის არსებობა ჩვენს ქვეყანაში, ერთის შეხედვით, საკვირველია: იგი ხომ სოციალურ ხასიათს ტარებს. თავის დროზე ლეგტოლსტოი აღნიშნავდა — ხალხის გასანათლებლად აუცილებელია კარგი წიგნები, მისი წაკითხვის ხალისი და შესაძლებლობათი. „კარგი წიგნები კი დაწერილია ხალხისათვის გაუგებარი ენით. მაგრამ მათ გასაგებად საჭიროა ბევრი კითხვა, ხოლო ხალისიდან რომ იკითხოს, საჭიროა გაგება... სად არის აქ შეცვლამა და როგორ დავაღწიოთ თავი ამ მდგომარეობას?“ ამ საკითხის ტოლსტოიმ „გადაუწყვეტი“ უწოდა. მართლაც, იმ დროს, იმ პირობებში მისი გადაწყვეტა შეუძლებელი გახლდათ. საჭირო იყო სოციალური გადგენილება, რის შედეგადც გაქრებოდა განხეიბულია მალალი ხელოვნების „მოუწოდომლობას“ და მასების ყოველდღიურ მძიმე შრომას შორის. მაგრამ „დახსნას შრომა“, განდა საყურველითა და სინარმლით აღსასულ მსატკრული კულტურაც. და მინც სწიზარდ დიდი ხელოვნება ჯერ კიდევ რჩება ფართო მასების „უფარდების“ გარეშე... მისეზე აღმთხვეობლია, შედეგ კი იხვე ცოცხლობს. რატომ?



რუსი გორაკის საკებრო კონსტრუქციები

სარაიშვილის სახელობის კონსტრუქტორის დიდ დარბაზში გაიმართა კომპოზიტორ ოთარ გორაკის საკებრო კონსტრუქცი. დირიჟორის პულტთან იდგა თავად ავტორი. მუსიკის მრავალმა მოყვარულმა ამ საღამოზე მოისმინა ახალგაზრდული „სუბტილთა“, კონცერტი ფორტეპიანოს და ორკესტრისათვის, პასალოა, კონცერტი ფლუტისა და ორკესტრისათვის, სიმფონიური ნაგებულება „ქარული“, ვოკალურ-სიმფონიური პოემა „არაზე ბუტბუტებს მტკავრია“, ეს ნაწარმოებები უკვე დიდი ხანია ამშვენებს ქართულ საშესრულებლო კომპლექტების რეპერტუარს, პოპულარული ბევრ მკაცვრე რესპუბლიკაში.

ო. გორაკის საკებრო კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო კაპელა, ხელოვნების დამახორებელი მოლუკუნის და მკერძის ხელოვნებით. წარმოდება ხდებოდა სოლისტებს — რუსების სურამ დმასხუარბულ არტისტებს, სერჯოზოვის კონცერტების აღმრედი ა. კორნაძეს (ფლუტა) და საქართველოს ფილარმონიის სოლისტს რ. გორაკისთვის (ფორტეპიანო).

სპარტაკ ბალაშვილი — მინდია
კინოფილმი „ველრეზა“



სპარტაკ ბალაშვილი — ქართული ეპიკის სიგაჟი

სცენაზე მსუბუქი ნაბიჯებით შემოდის მხარ-
ბეჭიანი ვაჟაკი, დარბაზს ავსებს მისი ხავერ-
დოვანი, ვაჭაკური ხმა:

„იკლდე ველირსკ გაზაფხულს,
ციღამ მანანის დენასა,
ბუნების გამოღვიძებას,
ფრინველს საამო სტვენასა,
ბუნუნ პეგონა დაფუნუნდი
ლეს ისევ ვიღვამ ენასა“.

ხმაში გაღვიძებული ბუნება ფეთქავს, გვე-
ხატება ვაჭა-ფშაველას თვალით დანახული
გაზაფხულის სურათი. შთაბეჭდილება რჩება,
თითქოს ეს ლექსი სასიქადლო მგისანს სწო-
რედ სპარტაკ ბალაშვილისთვის დაეწეროს.

სპარტაკ ბალაშვილის ყოველი გამოჩენა
სცენაზე თუ ეკრანზე მაყურებლის სიხარულს
იწვევს. საერთო სიყვარული და აღიარება
ხვდით სპარტაკ ბალაშვილის — არსენას, ლუ-
არსამ მეფეს, ძია ვანოს, გამზრდელს, მარტიას,
მეწისქვილეს, ხევისბერ გიორას და სხვ.

სპარტაკ ბალაშვილის დებიუტი ეკრანზე
1936 წელს, კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურე-
ლის ფილმ „არსენაში“ შედგა. აქ მან მეცხრა-

მეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართვე-
ლოს სახალხო გმირის არსენას დაუეწიყარი
სახე შექმნა. სპარტაკ ბალაშვილი-არსენა, მი-
ხეილ ჭიაურელის ბედნიერი „ალმოჩენა“ იყო.
ფიგურობთ მკითხველისთვის საინტერესო
იქნება ამ „ალმოჩენის“ ისტორია, რომელიც
კინორეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა მოგი-
თხრო.

რეჟისორმა ასე დაიწყო: სპარტაკ ბალა-
შვილზე რომ ვთქვა რამე, საქორთა ის გარე-
მოება ავსახო, რომელშიც იშვიათად ხვდებიან
კინორეჟისორები. მე ვიწყებდი „არსენას“ გა-
დაღებას. დიდი გულმოდგინებით შევუდექი
სურათის მთავარი როლის შემსრულებლის
ძებნას. ვიცილდი, რომ ხალხურ და ლეგენდა-
რულ არსენას ღრმად ჰქონდა ფესვები გად-
გზული ხალხის შემეცნებაში და ვცდილობდი
ისეთი არსენა მომეძებნა, რომ მაყურებლის
შთაბეჭდილება ამ გმირზე არ გამეშობილებინა.

ჩემთან ერთად „არსენას“ შექმნაზე მუშა-
ობდნენ მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო შან-
შიაშვილი, კომპოზიტორი გრ. კილაძე, მხატვ-

რები ირაკლი გამრეკელი და თამარ აბაკელია.
თითქმის შერჩეული მყავდა ყველა როლის
შემსრულებელი — ნატო ვაჩნაძე, ვერიკო ან-
ჯაფარიძე, ალ. იმედაშვილი, კაშალაშვილი,
ლორთქიფანიძე, მაგრამ მთავარი გმირი?!..
ვეძებდი, მაგრამ არსენა არსად ჩანდა...

ბავშვობა დედამისის სოფელ დიღომში გა-
ატარე. სულ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა
ერთი ამბის მოწმე გახდი. ცხრაასუთის შემ-
დედ გამეფებული შავენული რეაქციით უკმა-
ყოფილო დიდმელო გლეხები ტყეში გადაიღ-
ნენ ყაჩაღად. ერთ-ერთი ყველაზე სახელგან-
თქმული მათ შორის „სინუა ყაჩაღის“ სახე-
ლით იყო ცნობილი. ერთ საღამოს შემთხვევით
ენახე და ღრმად ჩამებეჭდა გონებამ მისი
გარეგნობა. დაახლოებით ოცდაათი წლის იქ-
ნებოდა, კარგი გარეგნობის ვაჭაკი, მაღალი,
განიერ მხარბეჭიანი. მის ლამაზ ვაჭაკურ
სახეს კიდევ უფრო ამშვენებდა შავი პატარა
ულვაშები და თეთრი ჩაწყობილი კბილები.
ბავშვური აღტაცებით შევყურებდი და თვალ
ვერ მომიცილებინა...



კინოფილმი „არსენა“. სპარტაკ ბალაშვილი — არსენა, ნატო ვანნაძე — ნენი

ეს ეპიზოდი მკვეთრად ჩამრჩა მესხიერებაში. ტიპი, რომელმაც ასე მიმხიბლა, არ მაგიწყდებოდა. და როცა შესაძლებლობა მიმეცა გადამეღო კინოსურათი გმირზე, კვლავ ნაღვალად დამიდგა თვალწინ სინუა ყაჩაღი — ჩემი არსენა სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო.

არსენას როლისათვის ბევრი ახალგაზრდა გაეცინჯო, მაგრამ ვერც ერთი ვერ უახლოვდებოდა ჩემი ოცნების არსენას... ერთ საღა-

მის სტუდიის მახლობლად მივსივრებოდი. თან, როგორც ყოველთვის, ირგვლივ ვიყურებოდი, გამგულ-გამომგულს ვაკვირდებოდი, ვეძებდი ჩემს გმირს. ყოფილი მუშტაიდის ბაღის მხრიდან ახლავანი ახალგაზრდა მოდიოდა. გვერდით ორი შავთვალა გოგონა მოჰყვებოდა. შევაჩერე. ჩემს წინ იყო ჭაბუკი, ჩემი დიდი ხნის ოცნება, სინუა ყაჩაღს რომ მაგონებდა.

ვუთხარი, რომ მიინდა კინოში მივიწვიო არ-

სენას როლისთვის. ახალგაზრდამ: „მომიბრძო-
შა, ესწავლობ და ეს ხელს შემიშლისო. გული
დამწყდა, რადგან დიდი ხნის ოცნება კვლავ
აუსრულებელი მრჩებოდა.“

მეორე დღეს ეს ამბავი ჩემს მეგობრებს
მოუხუცი, ვწუხდი დაკარგულ არსენაზე. კინო-
სტუდიის უხუცესი რეჟისორი ზ. ბერიშვილი,
რომელმაც ნატო ვანნაძე „აღმოაჩინა“; ალბათ
ჩემმა ასეთმა წუხილმა მიიყვანა ლევან ბალა-
შვილიან, რომლის შვილსაც შორიდან იცნობ-
და თურმე. ვფიქრობ ის არსენას როლისთვის
კარგი იქნებაო და უჩრევია ლევან ბალაშვი-
ლისთვის თავისი შვილი გასასჩნდად სტუდია-
ში მოეყვანა.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ დღიას სტუ-
დიის ვსოში ჩემს ძველ მეგობარს მუშა ხალ-
ხის საყვარელ მსახიობს ლევან ბალაშვილს შეე-
ხვდი. მივესალმე და მოვიციოხე, მგონა რო-
მელიმე ფილმში გადასაღებად იყო მოწვეუ-
ლი. მან სიცილით მითხრა: „ჩემი მიხეილ,
ჩემი ვაჟი მოვიყვანე — არსენას როლიმ გა-
სინჯაო“ და იქვე მდგომი ვაჟი წარმომიდგინა.
ახლდა შეუხებლად ყმაველს. თვალს არ ვუ-
ჯერებდი, ეს იყო ის ჭაბუკი, რომელიც რამ-
დენიმე დღის წინ დაეკარგა. აღტაცებულმა
ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი: „თუ მამის
ხმა და ტემპერამენტიც ენახე შენში, უკვე მყოფ-
ობა არსენა“.

სასულიან მსახიობს, ოტელის მონოლოგის
გენიალურ შესრულებებს ალ. იმედაშვილის
ვითხოვე სპარტაკისათვის შეეწყვიტებინა რაი-
მე მონოლოგი. რამდენიმე ხნის შემდეგ მო-
ვიმსინე სპარტაკის მიერ შესრულებული ოტელის
ერთი მონოლოგი. ძნელა გადაძოვნა იმ
მოულოდნელი სისარულის, რომელიც განვი-
ცადე. სისარულის ცრემლებს ვერ ვიკავებდი,
როცა ჩემს წინ იდგა შესანიშნავად მომზადე-
ბული, დიდი ტემპერამენტისა და მსახიობური
ტაქტის, სრულიად ახალგაზრდა ტალანტი.
„იარაგო, სპარტაკ, თავისუფალი ხარ, ყოჩაღ!“
და მეტი აღძვარის თქმა არ შემიძლო. მარ-
ტოდ დარჩენილებმა მე და ალექსანდრემ ერთ-
მანეთს მიველოცეთ ეს გამარჯვება.

მეორე დღიდან დაიწყო ჩვენი მუშაობა. მი-
დიოდა დღეები, კადრები სცვლიდნენ კადრებს.
იბადებოდა კინოფილმი „არსენა“ და იბადე-
ბოდა ახალი ნიჭიერი მსახიობი“.

კინოფილმ „არსენას“ გამოსვლა ახალგაზრ-
და ქართული კინოხელოვნების უდიდეს მოე-
წინადა იქცა. გახუთები წერდნენ:
— „არსენა“ მნიშვნელოვანი გამარჯვებაა
ქართული ეროვნული კინოსი, ამ ფილმს დი-
დი ინტერესით ნახავს მთელი ჩვენი ქვეყანა...“

— „არსენა“ დიდი და ბრწყინვალე გა-
მარჯვებაა მისი ავტორებისა. „არსენა“ დიდი
და ბრწყინვალე გამარჯვებაა ქართული
ეროვნული კინომატორგრაფიისა...“

ფილმმა მთელი ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა მა-
ყურებლის საყოველთაო აღიარება მოიპოვა და
ეს შემთხვევითი როდი იყო.

„არსენას“ წარმატება მსახიობთა და, პირ-
ველ რიგში, სპარტაკ ბალაშვილის შესანიშნავ-
მა თამაშმა განაპირობა. მსახიობმა განსა-

კინოფილმი „გვიორგი სააკაძე“
სპარტაკ ბალაშვილი — ლუარსაბ მეფე, ლიანა ასათიანი — თექვსმეტი



ხერა ღარიბი და გულით მიდარი ადამიანის, დაჩაგრულა მოსარჩლის, შევიწროებულა ქონაგისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის როლი სახე. „არსენა, ძმაო, ის მხნე არსენა, ჩვენამდის მხოლოდ ზღაპრად მისული“... ცხადად და ხელშესახებად გახადა მანამდის სრულიად უცნობი სპარტაკ ბაღაშვილმა. ამ რთული როლის დაძლევაში მას ხელი შეუწყო მსახიობის წარმოსადგმა გარეგნობაში, მიმოხედვლობაში, ვეგაკურმა ტემპერამენტმა და ძლიერმა შინაგანმა სიბოძმა, ბუნებრივმა არტისტულმა კულტურამ და შემოქმედებითა ინტუიციამ.


სპარტაკ ბაღაშვილი იმდენად ბუნებრივი, უბრალო და უშუალოა ეკრანზე, რომ ძნელია განასხვავო იგი ქართველი ხალხის შემეცნებაში მრავალი ათეული წლის მანძილზე ჩამოყალიბებული გმირის ლეგენდარული სახისაგან. ასეთი მთლიანობა, ასეთი შეწყვეტა მსახიობის დიდი გამარჯვება იყო.

ბაღაშვილი მთელი სიღრმით სწავდება გმირის სულიერ სამყაროს. მთელი არსებით გრძნობს მის ბუნებას. გაევისწნეთ რომელიც გენევაზე ეპროდი ფილინაა: მისი პირველი შეხვედრა მესტევეთან, სადაც გიგანტური ძალ-ღონის მქონე გულბერგყოლო, კვილი გულგაზ წარმოვიდგება. მისი სიტყვები „შენ საით, რუსო“ და მოქმედება ფულის გაღუნვის დროს, იმდენად გულბერგყოლოა და ალალი, რომ მათუბრელი აღტაცებაში მოიღის. როგორი სათნაო იგი ნენოსთან შეხვედრისას. მაგრამ დგება მომენტი და იგი მიიღწა მიწვევით ზეგას ემიგრაცება, მღელღორ ზეგას მოგაგინებს, რომელიც ჭეყნად გამუფუბული უსამართლობის წასაღვეავად ბოძოქროს.

არსენას როლის სამავალითი შესრულებისათვის 1941 წელს სპარტაკ ბაღაშვილს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მსახიობის მიერ განსახიერებულ არსენამ იმდენად დიდი როლი ითამაშა ხალხის შემეცნებაში, რომ მისი მავალითი სამაშელო ომის წლებში გმირობისთვის აღაფროგანებდა მებრძოლებს. სწორედ ამაზე მეტყველებს 1945 წლის გაზაფხულის პირველი თვის დღათორი დღეული, ბერლინის მისადგომებიდან სპარტაკ ბაღაშვილის სახელზე გამოგზავნილი ბარათი:

„მშო სპარტაკ! ბერლინის მისადგომებთან ერთ-ერთი დაბა გავათავისუფლეთ. დაბაში ვეებრთელა ერთსართულიანი შენობა იდგა, რომელშიც ღამით გაეჩერდით. როცა სინათლე ავანათო, ვნახეთ კინოფირებით სასუქ დიდი ფუთები. ჩვენმა ბოქებმა ხელდახელ გახრიკეს ფუთები და თვალთვება დაუწყეს კინოფირებს. უცერად ერმაბა ქართველმა, რომელსაც ბოხო გოგიას ვეძახებოთ, იმხელა იყერა, რომ გვეგონა თავს დაეცხენენ. თურმე ნო იტყვი, „არსენას! ფირები აღმოუჩენია. აღტაცებული ბიჭები ატევენდენ ფირებს და ისე იხუტებდენ გულში... ბედნიერი ხარ ძმაო, რომ ომის დროსაც „არსენა“ ხარ და გვერდში ვეცდებარა“. წირელი ხელს აწერდა მესანერე ინჟინერი აპოლონ ქემოკლიძე.

მოკლედ შევეცებით მსახიობის მიერ არსე-



კინოფილმი „ხევისბერი გიანა“
სპარტაკ ბაღაშვილი — ხევისბერი გიანა

ნას შემდეგ განსახიერებულ როლებს. გაევისწინეთ თუდც სამაშელო ომის წინა წლებში გადადებული ფილმი „ქავანა“ (რეჟისორი კ. ბინაშვილი), სადაც ბაღაშვილმა ხალხისათა წარმობადგენლის ძია ვანის სახე შექმნა. მათუბრელი ვერასოდეს დაიწვივებს სცენას, სადაც იგი ბავშვებს გლობუსზე ამეცადენებს, ან როცა კიკოლას დაატკმერების ამბოს:

კინოფილმი „ქავანა“
ლელია ბაშიძე — კატო
სპარტაკ ბაღაშვილი — ძია ვანო



საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ჭიათურის მშრომელთა დეუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ვლადიმერ შუკაიძემ. მომხსენებლები იყვნენ საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწეები: ვერანად „საბჭოთა ხელოვნების“ შოთაგრი რედამდონი თორალექსივიძე და კინოდრამატურგი ვარლამ გოგოძე.


ო. ევაძემ ილაპარაკა გრ. ტყაბლაძის შემოქმედებაზე, ვერცხად განიხილა შესანიშნავი მსახიობის მიერ დიდი ოსტატობით შესრულებული სცენურ სახეთა მთელი გალერეა, შეუხებ ქართული თეატრალური ხელოვნების საჭირობოტოტო საკითხებს.

კ. გოგოძემ ერთხელ კიდევ გაიხსენა ის დაუვიწყარი სახეები, რომლებიც გრ. ტყაბლაძემ ქართულ კინომატორგრაფიაში განახორციელა. იგი კინოშიც ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ როლებში მოვევლინა, შექმნა შესანიშნავი სახეები — თანამედროვე მშვენიერების გუმბარის იუბილად თუ მშვენიერად.

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის, ჭიათურის საქალაქო აღმასკომისა და მთელი მაღლიერი საზოგადოებრიობის სახელით იუბილარს მივსალამა ჭიათურის მშენებლობის ტრესტის მმართველი გიორგი შანიძე. მან წაიკითხა ქალაქკომისა და აღმასკომის მისასალმებელი ადრესი.

ქართველ მწერალთა სახელით გრ. ტყაბლაძეს მივსალამა ამ სტროქონების ავტორი და საჩუქრად გადასცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაისის“ ახალი აკადემიური გამოცემა, რომლის სატიტულო გვერდზე აწერია: „შესა-

აპოლონ
(გუგული)
ყოფიანი



ქართული

ხელოვნების

დაუნახროველი პროკაპონდისტი

პავლე ხუჭუა

„იყო სასარგებლო ხელოვანთათვის, თუ შენ თვითონ არ დაბადებულხარ ხელოვანად“. ვლადიმერ სტასოვის ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის აპოლონ (გუგული) ყოფიანის მიმართ. პროფესიით იგი არც კომპოზიტორია, არც მხატვარი, არც მოცეკვე. მაგრამ ოცდაათი წლის მანძილზე განსაცვიფრებელი ენერჯით, ხალისითა და სამაგალითო ერთგულებით ემსახურება ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს.

ცამეტი წელია, რაც ა. ყოფიანი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორია. ნიჭი, გამჭრიახობა, ინიციატორობა და საქმის ამომწურავი ცოდნა — აუცილებელი თვისებებია ქვემარტივი ხელმძღვანელისათვის. ამას მთელი სიცხადით ამტკიცებს ა. ყოფიანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

პირველდაწყებითი სწავლა გუგული ყოფიანმა ჭიათურაში მიიღო, შემდეგ ბათუმს გააგზავნეს. აქ მან დაამთავრა კუმანიტარული ტექნიკური და უმაღლესი შესასვლელად იწყო სამუადისი... 16-17 წლის ტბუცი გაიტაცა ჭიათურის დრამატული დასის სპექტაკლებმა. 20-იან წლებში, ჭიათურის თეატრის სცენაზე მოღვაწეობდნენ ქართული დრამატული ხელოვნების კორიფეები — ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედა-

შვილი, სანდრო ყალაბეგიშვილი, გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები — მიხეილ ქორელი, პავლე ფრანგიშვილი, შალვა ხონელი, ბორის გამრეკელი და სხვ. თეატრში ყურადღება მიაქციეს ახოვანი გარეგნობის ახალგაზრდას, რომელიც სპექტაკლების დამთავრების შემდეგ ნიადაგ კულისებში ტრიალებდა და აღფრთოვანებული შეტყუარება სათაყვანებელ მსახიობებს. გუგულის ფარული ნატვრა შეუსრულდა: იგი მიიღეს ეპიზოდური როლების შემსრულებლად. უსაზღვრო იყო ახალბედის სისარული, როდესაც ორიოდე სიტყვით, სპექტაკლში მონაწილეობის მიღება უზღებოდა სცენის ამ სახელმისივენილ ოსტატებთან ერთად.

შემდეგ გუგული ყოფიანს საკმაოდ სასიამოვნო ბარიტონი აღმოაჩნდა. მალე მიღებულ იქნა ე. წ. „ხრინჭაძის ხორის“ წევრად. ეს იყო პირველი ქართული იუმორისტული საესტრადო ვოკალური ანსამბლი ემანუელ აფხაიძის ხელმძღვანელობით. ამ ანსამბლში შედიოდნენ: დარეჯი გამრეკელი, დიმიტრი მჭედლიძე, გრიგოლ კოკელაძე, ბუტია გამრეკელი, ვასო ყოფიანი, ვლადიმერ ნაჭყებია და აპოლონ ყოფიანი. „ხრინჭაძის ხორი“, რომელსაც თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი, თავის დროზე დიდი წარმატებით სარგებლობდა.



1931 წელს აპოლონ ყიფიანი ჩაირიცხა თბილისის სააღმშენებლო ინსტიტუტის სტუდენტად, სადაც სამი წელი სწავლობდა. ამავე დროს ხალსით მონაწილეობდა თბილისის ქართული ეთნოგრაფიული გუნდის გამოსვლებში სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით... 1927-28 წლებში კი აპოლონ ყიფიანი საქართველოს „სახანძრეულის“ დირექციამ მიიწვია ეპიზოდური როლების შემსრულებლად კინოსურათებში: „ჯანყი გურიაში“, „ელისო“, „ბოშათა სისხლი“ და სხვა.

ინსტიტუტში მისი მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა. მაგრამ იმდენად მძლავრი გამოდგა ხელოვნებით გატაცება, რომ გადაწყვიტა ინსტიტუტისათვის თავის დაწეობა და მიეღია ახალგაზრდული ენერჯითი საყვარელ დარგში ადმინისტრაციულ საქმიანობას მიეცა. 1939 წელს მან დაიწყო მუშაობა რუსთაველის თეატრის ადმინისტრატორად, სამი წლის შემდეგ — 1944 წლამდე — მუშაობდა ამავე თეატრის მთავარ ადმინისტრატორად. 1944 წელს კი იგი მიიწვიეს ოპერის თეატრის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო და ადმინისტრაციულ დარგში, სადაც 11 წელი დაჰყო.

როცა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით გადაწყდა თბილისის საოპერო თეატრის პირველი გასვლითი გასტროლები, ამ საქმის ორგანიზებულად ჩატარებაში ა. ყიფიანმა საკმაოდ კარგი უნარი გამოავლინა. ადვილი როდი იყო ისეთი რთული მხატვრული ორგანიზმის ადგილიდან დაძვრა, როგორცაა საოპერო თეატრი. მაგრამ სათანადოდ ორგანიზებულმა პირველმა გასვლითმა გასტროლებმა ქ. გორში 1948 წელს ცხადყო ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობა. შემდეგ წელს თეატრი გაემგზავრა სოხუმს, 1950 წელს — სოჭს, 1957 წელს — ბათუმს, 1954 წელს კვლავ სოჭს ეწვია. ყოველი ასეთი გასტროლი მზარდი წარმატებით მთავრდებოდა.

რესპუბლიკაში არსებულ სანახაობით დაწესებულებებს შორის ფილარმონია — რთული, მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული ამოცანების განმსხორციელებელი ორგანიზაციაა. მისი ძირითადი დანიშნულება — პროპაგანდა გაუწიოს წარსულ დროთა და თანამედროვეობის მაღალმხატვრულ, (პირველ რიგში — ქართულ) მუსიკალურ ნაწარმოებებს, ხელი შეუწყოს ერთნული საშემსრულებლო კადრების გამოვლინებას, მათ პროფესიულ ზრდასა და დაოსტატებას, მშრომელთა ფართო მასების მხატვრული გემოვნების დახვეწას და მათში მსოფლიოს კულტურის მონაპოვართა დანერგვას. ამის გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების სისტემატურ დემონსტრირებას, მხატვრულ კითხვას, კონფერანსს, საესტრადო კონცერტების გამართვას და სხვა მასობურ სახეობებს.

ფილარმონიის მთელი ეს მუშაობა ამჟამად ისეთი მხატვრული კოლექტივებისა და საშემსრულებლო ანსამბლების მიერ სორცხილდება როგორცაა: საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზ. ხერაძე), საქართველოს სახელმძღვანელო საეუნდო კაპელა (მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი გ. ზაქარაძე), კამერული ორკესტრი (დირექტორი ვ. პატარაძე), კამერული განყოფილება და მასთან არსებული მუსიკალური ლექტორიუმი (მხატვრული ხელმძღვანელი თ. პაპიტაშვილი, ინსპექტორი მ. ზღაბლონიკაია), სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო ტრიო, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელი გ. ჩხიკავაძე), საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი (ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით), ხალხური სიმღერების შემსრულებელი ვოკალური კვარტეტი (ხელმძღვანელი —

მ. ხატელშილი). ეს მხატვრული კოლექტივები და ანსამბლები, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით, დიდ მუშაობას ეწევიან დასახულ ამოცანების დირსხულად გადაწყვეტისათვის.

1956 წლამდე ქართული ესტრადა ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. სხვადასხვა დროს არსებული ჯაზური ანსამბლები რ. გაბიშვილის, დ. თორაძის, ს. ბაბოიის და სხვათა ხელმძღვანელობით, ისე როგორც ცნობილი არტისტების — ვ. გიძიაშვილის, ვ. საღარაძის, ჯ. ჯაფარიძის, ე. აფხაძის, თ. დილიძის ეპიზოდური გამოსვლები, საქმეს ვერ შევლოდა. უფრო ხშირი იყო, მეტწილად, შემთხვევითი „არტისტებისაგან“ დაკომპოზებულ ქართულ „პრიადეზის“ თარეში, რის გამოც ხშირად აღუმაღლებიათ ხმა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ცაკვეულ მოღვაწეებს, სასოგადობებობას.

1956 წლიდან ჩვენი პარტიული ორგანოების ინიციატივით ქართული ესტრადის მუშაობა ძირფესვიანად გადასაღწია. ნაყოფიერი მუშაობა გამაღუს დღეს უკვე საყოველთაოდ სახელგანთქმულმა საესტრადო კოლექტივებმა. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ფურცელტყრი „რერო“ კ. პევეზერის ხელმძღვანელობით და შეიღაცისაგან შემდგარი საესტრადო ანსამბლი „ორგა“ რ. ბარძიშვილის მეთაურობითა და მონაწილეობით. ამ ანსამბლებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს როგორც ჩვენი, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. მალე მათ გვერდით ამოუდგა სხვა საესტრადო ანსამბლები: ვოკალური კვარტეტი „დილო“, ვოკალური ოქტეტი „ციცინა-თლა“, „ჩანგი“, „არავი“. 20-20 კაციან შემდგარი საესტრადო ჯგუფები: „სტუმრადა თბილისის ესტრადა“, „თბილისის საესტრადო ანსამბლი“, „თბილისის ჩირადენი“, „სიმღერები თბილისში“, „თბილისის ცის ქვეშ“, მარგე გიძიაშვილის ვოკალური ტრიო, ქორეოგრაფიული კვარტეტი „დოლური“ და თექვსმეტი ვაქისაგან შემდგარი მომღვაწეთა ჯგუფი ვ. ბერაძის და ი. ზედაშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით. ამ ჯგუფის გამოსვლამ მონრეალში, გასული წლის ოქტომბერში, უცხოური აუდიტორიის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გასული 10-12 წლის მანძილზე ქართულ ესტრადაზე აღიზარდნენ, დასვლდნენ და დაწინაურდნენ ამჟამად საკავშირო და მსოფლიო საესტრადო შემსრულებელთა კონკურსებისა და ახალგაზრდობის ფესტივალების ლაურეატები: ლ. გეგელია, ნ. ბრეგვიანი, ნ. გიძიაშვილი, ნ. დუშაძე, ც. ციციშვილი, ნ. კერვალიძე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ჩიხელიის ბრწყინვალე გამარჯვება სოპოტის საერთაშორისო კონკურსზე, რომელზეც მან საბჭოთა საესტრადო მომღერლებს შორის 1 ხარისხის პრემია (ოქრის მედალი) და საესტრადო სიმღერის მსოფლიო კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვა. იგივე ითქმის ვ. მაისურაძეზე, რომელმაც პირველი პრემიები დაიმსახურა საესტრადო სიმღერის როგორც საკავშირო, ისე უნგრეთისა და ბულგარეთის კონკურსებზე. ამავე პერიოდში საგრძობლად ამაღლდა მხატვრული კითხვის დონე. ამ ხაზით წარმატებით მუშაობენ ნ. ზედაშვილი, ა. მაკრაქველიძე, გ. კიკნაძე, გურამ საღარაძე, მაღარი კობახიძე. იგივე ითქმის ჩვენს მომღერლებს, რომელსაც დირსხულად წარმოადგენს ვ. კასრაძე, ვ. კირაქაძე, ა. გელვაანი. ამ კოლექტივების გარდა ამჟამად საბჭოთა კავშირის ქალაქში თურთმეტი საესტრადო ჯგუფი მუშაობს, ხოლო საზღვლის პერიოდში, რესპუბლიკის რაიონების მხატვრულ მომსახურებას 25-27 კოლექტივი ასორციელებს.

ქართული ესტრადის საქმიანობა დღესაც არ არის უნაკლო. ეს განსაკუთრებით მისი საკონცერტო პროგრამების ვოკალური რეპერტუარის ნაწილს შეეხება. მთავარი კი არის არის, რომ ქართული საბჭოთა ესტრადა საერთოდ სწორ გზას ადგას.

თუ ცოფრებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ 1955 წლამდე ფილარმონია წელსწინდით საშუალოდ 2500-2800 კონცერტს მართავდა. ახლა კი კონცერტების საერთო რაოდენობა წელსწინდით 7000 აღემატება. ამ რაოდენობით მარეგულაციების პრაქტიკულ, ფინანსური გამოხატულება მდგომარეობს იმაში, რომ 1959 წლიდან საქართველოს ფილარმონია გადავიდა უღრტაციო მუშაობაზე. ერთის მხარეზე ფილარმონიის თითქმის საკმაოდ გაანია საკონცერტო დარბაზები, სადაც იგი ასორციელებს თავის ორნისტივებს: თბილისის კონსერვატორიის დიდი და მცირე საკონცერტო, რუსთაველის სახ. თეატრის მცირე დარბაზი, სპორტის სასახლე და თვით ფილარმონიის სასაფუხულო და მცირე სასამართო თეატრები. მაგრამ ამ ორ უკანასკნელ



სიმონა სინიორუსთან

ობიექტს გარდა, რომლებშიც მხოლოდ სწონუნრად შეიძლება მუშაობის ჩატარება, დანარჩენი დარბაზები სხვა დაწესებულებათა კუთვნილებაშია. ამიტომ ფილარმონია მოკლებულია შესაძლებლობას, რომ წინასწარ დაგეგმოს თავისი ორნისტიკები. ფილარმონიის მდგომარეობა ამ მხრივ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, როგორც კი სავსებლობა-ციოდ გადაცემა საკუთარი დიდი საკონცერტო შინაში, მასში გათავისსინიორუსთან 2.500 კაციის ტევადობის დიდი დარბაზი სიმფონიური და საესტრადო, ხოლო 800 ადგილიანი დარბაზი — კამერული კონცერტებისათვის.

აპოლონ ყიფიანს, რომელმაც წელთა მანძილზე არაერთჯერ დაამტკიცა თავისი ორგანიზატორული უნარი, ფილარმონიის ხელმძღვანელობის გარდა სხვა სასუსხისმგებლო დაწესებულებას ეკისრებოდა. სახელდობრ 1957, 1958 და 1960 წლებში იგი თან ახლდა ნ. სუბინილისა და ნ. რამიშვილის მოცეცავთა ანსამბლს საესტრადო-ლო მოგზაურობაში, როგორც ანსამბლის დირექტორი, საფრანგეთში, იტალიაში, თურქეთში, საბერძნეთში, ინგლისსა და დინეში. ქართულ ტრესაში ხშირად იბეჭდებოდა ა. ყიფიანის ვრცელი და შინარსიანი წერილები, რომლებითაც საზღვარგარეთ მოგზაურობისაში მიღებულ შთაბეჭდილებებს გვიხიზარებდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ა. ყიფიანის, როგორც დირექტორ-განმკარგებლების, მუშაობა 1958 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების დღეებში. ამის შესახებ გახუთი „სოვეტსკაია კულტურა“ (1 აპრილი, 1958 წ., № 39) წერდა: „საქინრო აღინიშნოს საქართველოს ფილარმონიის ჩინებელი მუშაობა ა. ყიფიანის მეთაურობით, რომელმაც აპოთის მუსიკანთა კონცერტი გამართა დედაქალაქის კულტურის სასახლეებში, მუშაობა კლებებში, დაწესებულ-



ბეში, სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებსა და ოლქის, მუშათა რაიონებში“. მართლაც, იმ ათი დღის განმავლობაში, მისკოვში 130 კონცერტი და ლიტერატურული საღამო მოეწყო.

ა. ყიფიანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პარიზში 1966 წელს ქართული ბალეტის გასტროლების ჩატარებაში. იმავე წელს იგი დაინიშნა დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულის მომწყობ დირექტორ-განმარგებლად მისკოვში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში მრავალი კონცერტი ჩატარდა, რომელთა მორგანიზებელი და ხელმძღვანელი საქართველოს ფილარმონია იყო. ამავე თარიღთან დაკავშირებით მისკოვში, 1967 წლის მაისში, ქართული ხელოვნების კვირეული გაიმართა. ამ ღონისძიების საორგანიზაციო საქმის მოგვარება და მისი წარმართვა კვლავ ა. ყიფიანს დაევალა. მანვე ითავა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის აღსანიშნავი საგანგებო კონცერტის გამართვა, რამაც ხალხმრავალი აუდიტორიის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. მასვე დაეკავა ჯერ მოსკოვის, ხოლო შემდეგ — უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების დეკადების ჩატარების ორგანიზაცია საქართველოში.

ამ ბოლო წლებში საკავშირო საკონცერტო ორგანიზაციების („სოიუსკონცერტი“ და „გოსკონცერტი“) დახმარებით და ხელისშეწყობით ა. ყიფიანს პირადი ურთიერთობა აქვს დამყარებული უცხოეთის ცნობილ იმპრესარიოებთან (ს. იურიკი — აშშ, პოპაუჭერი — ინგლისი, ლომბროზო, ტომასო და ი. ჯაბადარი — საფრანგეთი).


საქმისათა სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირად დაახლოებას, რაც ხელს უწყობს ორმხრივ სასარგებლო მოლაპარაკებებს საგანგებო კონცერტების ორგანიზაციის საქმეში. ა. ყიფიანი საზღვარგარეთ მივლინებისას თუ უცხოელ საქმისათა და გამორჩინლ არტისტთა თბილისში მოპატივებისას მუდამ ნამდვილ ქართველურ მასპინძლობას იჩენს. წარსულ დროთა დიდებულმა მეგობრებმა და ერთგული თვითმყობადი კულტურის ნიმუშების გაცნობამ, საქართველოში მრავალგზის ჩამოსვლის სურვილი აღურა გამოჩინლ ხელოვანი.

ა. ყიფიანის მოღვაწეობაზე სხვაგ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ზემოთ თქმულიც ნათლად მოწმობს მის ორგანიზატორულ უნარზე, საქმისადმი

მიდგომაზე. ა. ყიფიანზე შეიძლება ითქვას, რომ ფრიად სასარგებლო საქმეს აკეთებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელო ფაქტები: 1960 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ პარიზის ლიტერატურულ-არტისტული სააგენტოს დირექტორი ჟორჟ სორია და ცნობილი იმპრე-

პარიზის მერის მოადგილე სანქტარს გასაცემს ქართული ხელოვნების მოღვაწეებს





სარიო ლომბროზო. საგასტროლო საკითხების მოგვარების შემდეგ ა. ყიფიანმა მათ საუბარი ფიროსმანის შესახებ ჩამოუდღო. უცხოელები დაინტერესდნენ ფიროსმანით და გაეცნენ ამ ნიჭიერი მხატვრის შემოქმედებას. შობაბედულება იმდენად ძლიერი იყო, რომ მაშინვე გადაწყდა ფიროსმანის ნამუშევართა გამოფენის მოწყობა პარიზში. 1966 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაავალბით, ა. ყიფიანმა პარიზში ყოფინისას შეასენა თავის მეგობრებს ეს საკითხი. საფრანგე-

თის კულტურის სამინისტროს მთავარმა მდივანმა ბ-მა პროფორმა მას საგანგებო მიმართვა გადასცა სსრკ კულტურის მინისტრის ე. ფურცევასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ჯავახიშვილის სახელზე. საბოლოო გადაწყვეტილების თანახმად, ფიროსმანის ნამუშევართა გამოფენა პარიზში მოეწყობა მიმდინარე წლის ბოლოს. აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ სახელგანთქმული მხატვარი პიკასო, ფრანგი მწერალი ლ. არაგონი და სხვ.

საფრანგეთში ყოფნისას ა. ყიფიანი დაინტერესდა მსოფიანი მხატვრის ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევრებით. ეს ის შერვაშიძეა, რომელსაც ცკუთუნის და არაყოფილის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ პირველი მხატვრულ-დგერაკიული გაფორმება (1919 წ.). ყიფიანმა შერვაშიძისაგან მიიღო საკმაოდ მნიშვნელოვანი ნიმუშები — სხვადასხვა დადგამათა და კოსტიუმთა ესკიზები და მთელი ეს საინტერესო მასალა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადმოუგზავნა.

იქვე ყიფიანი დაუმეგობრდა ჩვენს თანამემამულეს ილია ჯაბადარს, რომელსაც პარიზში საკუთარი „საკონცერტო ბიურო“ აქვს გახსნილი. ყიფიანის მეშვეობით ი. ჯაბადარი გაიცნო „გოსკონცერტმა“, რომელმაც ამ უკანასკნელს დაავალა ქართული ცეკვის ანსამბლის ვასტროლების მოწყობა თურქეთში, რაც დიდი წარმატებით იქნა ჩატარებული. თავისი ენერგიული და შედეგადანი მოღვაწეობით ა. ყიფიანმა საყოფელთაო პატივისცემა დაიმსახურა. საბჭოთა კავშირის 130 ფილარმონიის დირექტორებს შორის, მოსკოვის, ლენინგრადის და უკრაინის ფილარმონიათა ხელმძღვანელებთან ერთად, ა. ყიფიანი შედის „სოიუზკონცერტის“ დირექტორთა საბჭოში.

ა. ყიფიანი ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა, როგორც მშრომელთა დეპუტატების თბილისის ქალაქის საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი.

ღირსეულად დაფასდა ა. ყიფიანის ღვაწლი მშობლიური კულტურის წინაშე. 1956 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამახებრებელი მოღვაწის წოდება, 1958 წელს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

საქართველოს ფილარმონია, თავისი მუშაობის მასშტაბით, შემოქმედებითი გაჭნეობითა და ექვმიუტანელი მიღწევებით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე საკონცერტო ორგანიზაცია იქცა. მის წინაშე კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებია გადაშლილი.

ვან კლბერნანი





ბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას 50 წელი შეუსრულდა. თუმცა საქართველოში პროფესიული მუსიკალური განათლების წელთაღრიცხვა ამ თარიღით როდი იფარგლება. მას წინ უძღვოდა ის ნაყოფიერი პერიორიული პერიოდი, რომელმაც ეროვნული კონსერვატორიის დაარსების საკითხი მოამწიფა და ამ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის ორგანიზაციისათვის ყველა ობიექტური პირობა შექმნა.

პროფესიული მუსიკალური განათლების აღმოცენების პირველი მძლავრი სტიმული ქართველი ხალხის მუსიკალურ პოტენციალი უნდა ვეძიოთ. ამ დიდმა შემოქმედებებმა უნარმა შექმნა საუკუნეთა მანძილზე ქართული ხალხური მუსიკის ისეთი ნიმუშები, რომლებიც ორიგინალური აზროვნებით, არქიტექტონიკით, პოლიფონიით, თვითმყოფადი კოლოპარმონიული და რიტმო-ინტონაციური სისტემით, განზობრივი და თემატური მრავალსახეობით ქემპონიტად უნიკალურ მიღწეას წარმოადგენენ. თანამედროვე მუსიკალური აზროვნების ერთ-ერთი კანონმდებელი, კომპოზიტორი სტრანინსკი ჩვენი ხალხური მუსიკის შესახებ ამბობდა: „ეს განძი გაცილებით უფრო მდიდარა, ვიდრე ახალი მუსიკის ყველა მონაბოარი“. ბუნებრივია, რომ ამ განძეულობის მფლობელი ერი, ადრე თუ გვიან, დაადგებოდა პროფესიული მუსიკის გაზს, ხოლო მუსიკალური კულტურის პროფესიონალიზაციის პროცესი კი შესაბამისი ცოდნისა და განათლების გარეშე ნაყოფ ვერ მოისხამდა.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში მუსიკალური განათლების დაფუძნებას, ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმოშვა. „თერგდალეულთა“ განმანათლებლურმა სულისკვეთებამ ამბოძარა ქართული ერის ინტელექტუური მოღვაწეობა და შექმნა ის ნაყოფიერი იდეოლოგიური ბაზა, რომელზედაც ინტენსურად წარიზრთა ეროვნული ხელოვნების ყველა დარგის პროფესიონალიზაციის პროცესი. ჩამოყალიბდა ეროვნული სკოლები ლიტერატურასა და ხელოვნებაში. XIX და XX საუკუნის მიჯნაზე შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩნდნენ პირველი ქართველი კომპოზიტორებიც — მ. ბალანჩივაძე, ზ. ფალაიშვილი, დ. არაყიშვილი, ნ. სულხანიშვილი...

ქართული პროფესიული მუსიკის მისამზადებელი პერიოდი სწორედ 60-იანი წლებიდან იწყება, როცა ფართოდ იშლება ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის კვლევა-ძიება, შვერვება, გამოქვეყნება, ყალიბდება პირველი ქართული საეკლესიო-სამუსრულებლო კოლექტივები, ნაყოფიერად მოღვაწეობს საოპერო თეატრი, იმართება კონცერტები. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის საკითხიც მომწიფდა.

ცოდნისა და განათლების მისაღებად თერგი მარტო ქართველმა მწერლებმა როდი გადალახეს. რუსეთსა და ევროპულ ქვეყნებს სწავლების შესაძენად მიაშურებდნენ მომავალი ქართველი მენცირები, მხატვრები, მოქანდაკეები, თეატრის მოღვაწეები, მუსიკოსები. „თერგდალეულნი“ ქართული მენცირებისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგს ჰყავდა. ნიშანდობლივია, რომ არა მარტო პირველი ქართველი, არამედ პირველი კავკასიელი მუსიკოსი ხარლამაძე სავანელი გახლდათ, რომელმაც აკადემიური პეტერბურგის კონსერვატორიაში კარი შეადო და ვოკალურ განათლებას დაეწავა. იგივე თქმის ქართველი მუსიკოსების მიმედ პლავდასზე — ალიოზ და ფილიქს მიხანდარები, ია კარგარე-თელი, ა. ყარაშვილი, მ. ბალანჩივაძე, ზაქ. ფალაიშვილი, და არაყიშვილი. ის სხვადასხვა ქვეყნების კონსერვატორებში ეუფლებიან მუსიკალური განათლების სისტემას, რათა მიღებული მტკიცე პროფესიული ცოდნა ეროვნული მუსიკალური კულტურის კეთილდღეობას მოახმარონ.

აქ ქართული პროფესიული მუსიკალური განათლების ხელისშემწყობი მუსეუმ ფაქტორიც — მსოფლიოს მუსიკალური ხელოვნების მონაბოარი, — სამეცნიეროდ და საკომპოზიციო შემოქმედებისა თუ თეორიული მუსიკალური მენცირების ტრადიციები ქართველმა მუსიკოსებმა უკეთესი რომ შეითვისეს და ეროვნულ ნიადაგზე გადმოიზარეს.

1873 წელი მნიშვნელოვანი თარიღია ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. ამ დროიდან იწყება ქართული პროფესიული განათლების წელთაღრიცხვა. თბილისში დაარსდა საუნდო კლასები.



თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

საქონელი

ამ საქმის ორგანიზატორი დიდი პატივით და სასოვადი მოღვაწე ხარლამაძე სავანელი იყო. მალე მას მხარში ამოუდგნენ მუსიკალური კულტურის დიდი ენთუზიასტები, ა. მიხანდარი და კ. აღინაზოვი. მათი უშუალო მონაწილეობით, საუნდო კლასებთან პარალელურად ყალიბდება ფორტეპიანოს, ვიოლინოს, სიმფონის კლასები. იწყება თეორიული საგნების სწავლებაც. ასე ჩამოყალიბდა საქართველოში მუსიკალური სწავლების პირველი კერა, რომელიც 1886 წელს პირველ ქართულ მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთდა. ამ სასწავლებელს სათავეში ჩაუდგა ცნობილი კომპოზიტორი იბოლიტოვ-ივანოვი, რომელმაც მრავალმხრივი მოღვაწეობით, უთუოდ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკის პროფესიონალიზაციის საქმეში.

1891 წლის 12 აგვისტოს თანამედროვეობის დიდი რუსი ბიანსტი, ცნობილი დირიჟორი და კომპოზიტორი, პეტერბურგის კონსერვატორიის ფუძემდებელი ანტონ რუბინშტეინი თბილისს ეწვია. ეს საგასტროლო სტუმრობა სახედინო აღმოჩნდა ქართული მუსიკალური კულტურისათვის. ანტ. რუბინშტეინმა, როგორც თვალსაჩინო მცენებელმა, თავისი კონცერტისაგან მიღებული დიდძალი შემოსავალი თბილისის მუსიკალური სასწავლებლის შენობის აგების საქმეს უბოძა. სწორედ ამ თანხით



სახელმწიფო კონსერვატორიის საიზილუო საღამო ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მუსიკალური კულტურის ცენტრი

მანანა ახმეტელი

ამუნდა შენობა, რომელშიც ამჟამადაც, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაა. მადლიერებისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად, ჩვენს კონსერვატორიაში დღესაც არის ანტ. რუბინშტეინის პორტრეტული გამოსახულება.

1903 წლიდან თბილისის პირველი მუსიკალური სასწავლებელი მუშაობას იწყებს ახალ შენობაში, 1904 წელს კი შედგა საკონცერტო დარბაზის (ამჟამად თბილისის კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზი) სახეიფო გახსნა.

უკვე იმ დროს მუსიკალურ სასწავლებელს გამოეძლია პედაგოგიური კოლექტივი ჰაკაჯა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ხ. საგანელი (საგუნდო კლასი), ა. მიხანდარი, კ. წეიპაუზი, კ. ალიხანოვი, ა. თულაშვილი, მ. გაბაშვილი, ტ. ტერ-სტეპანოვა, ა. აისბერგი, მ. ვინოგრადოვი, ლ. ტრუსკოვსკი, ლ. პომპევი, ი. ლევინი, ი. სტახოსკაია (ფორტეპიანო), მ. ზარუნაია, ე. ბროჯი, დ. უსატოვი, ე. რიანდოვი (სიმღერა), ვ. ველშაუ (ვიოლინო), ი. სარაჯიშვილი, კ. მინიაიო, ა. პოლიევა (ვიოლინო), მ. იპოლიტოვი-ევანოვი, ნ. კლენოვსკი, ვ. ყორანოვი, თ. აკიმენკო, ნ. ნიკოლაევი, ზ. ფალიაშვილი (ფორტეპიანო), ე. გუზიკოვი (კამერული ანსამბლის კლასი) და სხვ.

მუსიკალური განათლების მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ 1908 წელს ზ. ფალიაშვილის ინიციატივით ფილარმონიულ საზოგადოებასთან დაარსდა თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებელი, რომელსაც თვით ზ. ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ სასწავლებელში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ — პოლიკარპე ფალიაშვილი (საგუნდო კლასი), ანდრია ყარაშვილი (ვიოლინო); ვ. ამირჯები (ფორტეპიანო), ზ. ფალიაშვილი და გ. ნატრაძე (თეორიული საგნები).

1917 წლის 1 მაისს პირველი მუსიკალური სასწავლებლის საფუძველზე ჩამოყალიბდა თბილისის კონსერვატორია. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. ახლად დაარსებულ კონსერვატორიაში უმეტესად პირველი მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგები მოღვაწეობდნენ. სწავლობდა 55 სტუდენტი. ჩამოყალიბდა სხვადასხვა სპეციალობათა მიხედვით შესაბამისი კომისიები. კონსერვატორიის მუშაობას წარმართავდა სამხატვრო საბჭო — ოცდაათი წამყვანი პედაგოგის შემადგენლობით. 1919 წელს შედგა თბილისის კონსერვატორიის პირველი გამომგება. დიპლომი სამმა მუსიკოსმა მიიღო.

განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას იწყებს თბილისის კონსერვატორია 1921 წლიდან — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების



დამყარების შემდეგ კონსერვატორიას სთავაზობ ჩაუდგა ზაქარია ფალიაშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სხვადასხვა მუსიკალური დისკოპლინების დაწერებასა და ერთობლივი პროფესიული კადრების აღზრდის საქმეში.

ამვე წელს ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებული მეორე მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა თბილისის მეორე კონსერვატორია გამორჩეული კომპოზიტორისა და მუსიკოს-განმანათლებლის დიმიტრი არაყიშვილის ხელმძღვანელობით.

1924 წელს თბილისის ორ უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი ფორტიანდა ერთ სახელმწიფო კონსერვატორიად დაიწყო მუშაობა გაერძის დემოკრატიკის პრინციპით. ამ შრიდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო უფასო სწავლების შემოღება, რამაც ფართო მასებს მუსიკალური განათლების მისაღებად კონსერვატორიის კარები გაუღო.

არსებითად, 20-იან წლებში მიმდინარეობს კონსერვატორიის სტრუქტურის თანდათანობითი ჩამოყალიბება. შემუშავებულია პროექტი, რომელმაც დაადგინა მუსიკალური განათლების სამი ძირითადი ეტაპი — სკოლა, სასწავლებელი, კონსერვატორია. ეს უკანასკნელი თანდათანობით იქმნე უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციებს — მიმდინარეობს სპეციალიზაცია პროფესიონალი და ფაკულტეტების დიფერენცირება, იქმნება კათედრები, ფალიაშვილმა სასწავლო გეგმები, პროგრამები, წესდება ასპირანტურა. ბუნებრივია, რომ კონსერვატორიის მუშაობის რეორგანიზაცია ექსპერიმენტების გარეშე არ მიმდინარეობდა.

უკვე 1937 წელს, მოსკოვში გამართულმა ჩართული ხელოვნების პირველმა დედაქმნა ცხადყო თბილისის კონსერვატორიის მიღწევები დაგეგმიში კონსერვატორიაში ჩვენს დიდი ძალები მონაწილეობდნენ. სწორედ მას შემდეგ მიიწიება აქვს კონსერვატორიას დიდი ქართული მოქალაქის განა საზოგადოების სახელი. აქვე გადწავდა შენობის რეკონსტრუქცია და დიდი საკონცერტო დარბაზის აგება.

1938 წელს კონსერვატორიასთან გაიხსნა ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა). ეს ჯგუფი სისტემატურად იღებდა მეთოდურ დახმარებას კონსერვატორიისაგან, რომლის ცნობილი პედაგოგები აქაც ეწეოდნენ ნაყოფიერ მოღვაწეობას. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. თანეს მხრივ ეს სკოლა ყოველწლიურად ახალ დივიდენტს ცვლის აწვდის კონსერვატორიას სხვადასხვა მუსიკალური ფაკულტეტებისათვის.

მეორე სამაშალო ომის მიმე დღეებში კონსერვატორიის პედაგოგები და სტუდენტები აქტიურად ჩაებნენ სამეფო მუშაობაში. ომის წლებში კონსერვატორიამ ათასამდე კონცერტი ჩაატარა სამხედრო ნაწილებში და კისხიატლებში. მრავალი სტუდენტი და პედაგოგი დაიკლდოდა საპატიო სიგელებით, წარჩინების ნიშნებით, მულგებით.

1948 წელს კონსერვატორიაში შეიქმნა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. 1952 წელს კვლავ გაიხსნა საოპერო სტუდია, რომელიც მანამდე პერიოდულად მოღვაწეობდა 1924 და 1936 წლებში. ადრე საოპერო სტუდიაში თვალსაჩინო სპექტაკლებს დადებდნენ ქართული თეატრის გამორჩეული რეჟისორები გ. მარჯანიშვილი, ს. ანბულაძე, ალ. წუწუნაძე, დირონორი თვ. ფალიაშვილი, შემდეგ მათი საქმე განაგრძობდა ნიჭიერი რეჟისორი მ. აღასაბაძე, გამორჩეული დიროფორმა და მ. მხოლოვამ და სხვ. თავიდანვე ამართა გახდა მიმავალი საოპერო მიმდრელების სცენური დასატების აუცილებლობა კონსერვატორიის კვლევებში. დღეს სტუდია ითვლება საოპერო თეატრისათვის კვალიფიკირებული კადრების მოსამზადებელ კერად, რომლის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე საოპერო ნაწარმოებს დადგმას. სხვადასხვა დროის სტუდიის სცენაზე კონსერვატორიის ძალებით წარმატებით იდგმებოდა მოცარტის „ფარაოს ქორეობა“, გლეის „ორფეოსი“, ფალიაშვილის „აბუქალომ და ეთერა“, „დაისი“, გერშვინის „პირი და ბესი“, რამსინიონის „ალკატი“, ჩაიკოვსკის „ვევრეი ინგინი“, თ. თაქიაქიშვილის „ორი განაჩენი“ და სხვ. სწორედ საოპერო სტუდიის სცენაზე უმეტეს ფეხი იღებს უკვე საყოველთაოდ ცნობილი მიმდრელებმა, რომელნიც ამჟამად თბილისის საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტები არიან.

50-იანი წლებიდან კონსერვატორიაში სისტემატურად იმართება სამეცნიერო-სამეცნიერულელო სესიები. თანდათანობით ფართოვდება

პრობლემატიკის სფერო. ამ შრიდ ნაყოფიერ მუშაობასწავება კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის კათედრა, რომელმაც არა ერთი საინტერესო კვლევილი და პედაგოგიური ნაშრომი გამოაქვეყნა ქართულ ენაზე.

1948 წლიდან კონსერვატორიაში მუშაობას იწყებს ფოლკლორის კაბინეტი, რომლის ძირითადი ამოცანაა ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშების შეგება, გამოფერვა, გამოკვლევა, სისტემატრაცია. ფოლკლორის კაბინეტს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკვე 50-მდე სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო, შეტარდა 3000-მდე ხალხური სიმღერა, თავი მოუყარა ხალხურ საკრავებსაც.

ამვე ნაყოფიერად მოღვაწეობს კონსერვატორიის ხმის ჩამწერი კაბინეტ-კო, რომლის მნიშვნელობა ძალზე დიდია. მისი დახმარებით მოსწავლე — ახალგაზრდობა ეცნობა მუსიკალური ლიტერატურის ნიმუშებს. შესაძლებელი ხდება ლექციების ილუსტრაცია თვით მუსიკით. შემსრულებლებს შეუძლიათ გაეცნონ ერთი რომელიმე ნაწარმოების სხვადასხვა საშემსრულებლო ინტერპრეტაციას. ხმის ჩამწერი კაბინეტის ფონდში თანამართლია მრავალი კომპოზიტორის ნაწარმოებები და იგი თანდათანობით მდიდრდება.

ამჟამად კონსერვატორიაში 16 კათედრა: კომპოზიციის, სპეციალური ფორტეპიანოს, სოლო სიმღერის, გილონისა და ალტის, ჩასაბუერი კლავირის, გილონჩლოს, კონტრაბასის და არფის, სახელოსადრიოთორ, მუსიკის ისტორიის, მუსიკის თეორიის, კამერული ანსამბლის, საოპერო მომზადების, საერთო ფორტეპიანოს, მარქსუზმ-ლენინიზმის, უცხო ენებისა და ფიზიკური აღზრდის. კონსერვატორიის დღის, საღაძის და დუსწრებულ განყოფილებებზე, აგრეთვე მოსამზადებელ განყოფილებებზე (გოკალესტრისათვის) 1230 სტუდენტი ირიცხება. პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობაში 283 ადამიანია.

1921 წლიდან დღემდე თბილისის კონსერვატორია 1600 მუსიკოსმა დაამთავრა. მათ შორის კომპოზიტორებმა, სხვადასხვა პროფილის შემსრულებლებმა, მუსიკისმცოდნეებმა, ისინი მოღვაწეობენ რესპუბლიკის ყველა მუსიკალურ ორგანიზაციაში — კომპოზიტორთა კავშირში, ფილარმონიაში, რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში, კონსერვატორიაში.

მომავალი თაობის მუსიკოსთა აღზრდა მიმდინარეობს აქეთ მაღალი კულტურის პედაგოგებს, რომელთა ურბადულობის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მათ მზარდი უღვაწის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები. თბილისის კონსერვატორიის პედაგოგიურ კოლექტივს ერთი საერთო მუხანი ამოძრავებს — ჩაუხერ-გონ მომავალ მუსიკოსებს მტკიცე პროფესიული ჩვევაები, მაღალი კულტურა, საქმისადმი კეთილწინდისობა და მოყიდულება. ამის შედეგია, რომ თბილისის კონსერვატორიაში მოწინავე უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის რეპუტაცია დამოკვირდა.

ჩვენი კონსერვატორიას შორს გაუთავებს სახელი ქართველმა კომპოზიტორებმა და შემსრულებლებმა. დღეს, უკვე საყოველთაოდ ცნობილია ქართული საბჭოთა მუსიკის მრავალი ნაწარმოები, პოპულარობით სარგებლობენ ნიჭიერი ქართველი შემსრულებლები.

კონსერვატორიასთან ჩამოყალიბდა უკვე კარგად ცნობილი ფოკალური ანსამბლი „კორდელა“, ალტისტთა ანსამბლი (ნ. კინწურაშვილის ხელმძღვანელობით), ვიოლონჩლისტთა ანსამბლი (ი. ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით), არფისტთა ანსამბლი (ნ. ავალიანის ხელმძღვანელობით), გუნდი „მოსტეტი“ (გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით).

თბილისის კონსერვატორიის სათავეში მუდამ იდგებიან ღირსეული ხელმძღვანელები, ცნობილი ქართველი კომპოზიტორები: ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, გ. გოგიელი, გ. კიკაძე, ი. ტყეშელი, თ. თაქიაქიშვილი, ს. ცინცაძე.


ჩვენმა საზოგადოებრიობამ სათანადოდ შეაფასა ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის მიღწევები. სიყვარულითა და პატივით კიდევ აღინიშნა საუბედრო თაბრი, რომელსაც კონსერვატორიაში კონცერტების ციკლი და სამეცნიერო სესია მიუღწევია.

ქართული მუსიკალური ზრობების კანონმდებელი — თბილისის კონსერვატორია ღირსეულად დგას ეროვნული მუსიკალური კულტურის ცენტრში.



საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილებაში უფროს კონსულტანტს ნიკოლოზ გაბრიელის ძე კველიშვილს, რომელსაც სიყვარულით ძია ნიკოს ვეძახიო, ახლახანს დაბადების 51 და შემოქმედებითი — საზოგადოებრივი მოღვაწეობის 41 წელი შეუსრულდა.

თეატრალურ საზოგადოებაში ხშირად ტარდება სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, შეხვედრები, დისკუსიები. თეატრული მოხსენებები, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოები... ჩვენი ნიკოც ყველა ამ ღონისძიების ერთ-ერთი ინიციატორი და უშუალო მონაწილეა. 20 წელია, რაც უანგარო მოღვაწეობას ეწევა იგი ამ საზოგადოებაში.



ნიკოლოზ კველიშვილი

მისი კეთილშობილური გული ძველი და ახალი თაობის სიყვარულს იტევს. ნიკო ყველას მიმართ გულსხმიერია, ყველას დამხმარე და გზის მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ არის, რომ მას ყოველთვის ბევრი ხალხი ახვევია. მათ შორის ხშირად რაიონიდან ჩამოსული თეატრის მოღვაწეიც არიან. ნიკო თითქმის რესპუბლიკის ყველა თეატრის მოღვაწეს იცნობს პირადად. ასევე იცნობენ მასაც და მის მიმართ სიყვარულით არიან განწყობილი.

ნიკოს ხშირად მოსდის რაიონის თეატრებიდან წერილები, რომლებშიც ამა თუ იმ საკითხზე დახმარებას და რჩევას თხოვენ. ის ხომ თეატრალური საზოგადოების უძველესი თანამშრომელია! მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოების აწ განსვენებულ თავმჯდომარესთან, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანთან. მის არქივში ინახება შალვა დადიანის მრავალი წერილი.

თეატრალურ საზოგადოებაში მოღვაწეობის პერიოდში ნიკო კველიშვილი სისტემატურად კითხულობს ლექციებს საზოგადოების სამეცნიერო სესიებზე. ფარეკა-ქარანე ბ შ ი, კულტურის სახლებთან არსებული თეიმთქმედ წრეებში.

იგი ბევრჯერ უმაღლესი საბჭოს საკრებულო უბნის კომისიის წევრიც იყო და სახალხო მსაჯულიც. ამ მოღვაწეობას ყო-

ველთვის მშვენივრად ათვისებდა სალიტერატურო მუშაობასთან. ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი სტატიები და რეცენზიები ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

ახალ სექტაკლებზე და ქართულ კინოფილმებზე. ნიკო კველიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან თავისი სტატიებით ქართველ

საზოგადოებრობას უმჩველესად გააცნო სოჭა-ადღერის, კერძოდ პლასტუნის ქართველი თანამემამულეების ცხოვრება. მან საგანებო მონოგრაფია („პლასტუნელი ქართველი მოღვაწე“) მიუძღვნა ქართველ პატრიოტ ქალს ოლღა წითლიძეს, რომელიც სოჭასა და ადღერში მოღვაწეობს 1920 წლიდან. ამ წიგნის შესახებ თავის დროის დადებითი შეფასება გამოიქვეყნეს გაზეთებში.

ცნობილია, რომ კანსონდარის მხარეში, სოფელ პლასტუნეში დაღეს 500 ქართველი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა რაკეტოჩეხიდან არის ვადასკოლი, სოფელს აქვს სკოლა. ეს სკოლა 1921 წელს გაიხსნა ქალაქ სოჭში. ქართველი პატრიოტი ქალის, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოლღა წითლიძის ცდითა და ზრუნვით მის კვლევებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ აღიზარდა ბევრი ისეთი ახალგაზრდა, რომლებმაც შემდეგ თავი ისახელეს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ოლღა წითლიძემ სოჭში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთაგან შეადგინა სცენისმოყვარეთა დასი, რომელიც შემდგომში სახალხო თეატრად იქცა. ეს დასი მომსახურეობას უწევს ამ მხარეში მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას... სწორედ ამ პლასტუნელებს ქართველი ქალის დეაწლასა და შრომას იხილავს ნიკო კველიშვილი თავის წიგნში.

ნ. კველიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მონოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტიტ პავლე ფრანგივილზე, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მუშათა სახალხო თეატრებს, ხოლო თავის მეუღლესთან, რესპუბლიკის სახალხო არტიტ თამარ აბაშიძესთან ერთად მას დიდი დეაწლი მიუძღვის გორისა და ქიათურის თეატრების განვითარების საქმეში. 1956 წელს ნიკო კველიშვილმა გამოსცა წიგნი „საქართველოს თეატრალური საზოგადოების 10 წელი“, რომელშიც ვრცლად და თანამიმდევრულად არის განხილული საზოგადოების საქმიანობა 10 წლის მანძილზე.

თეატრის სიყვარულით

თინათინ ტაბიძე



მარცხნიდან: სტეფან — ლ. დლოძი, ალ. თაყაიშვილი, კ. გაწერელია, ნ. თალაკვაძე, მ. თალაკვაძე, შ. დავითი, ს. მთეარაძე, თ. მღებრიშვილი, დავახან — რ. იმნაიშვილი, ნიკო კველიშვილი, ა. ბოიკო, გ. შვილიძე

ნ. კველიშვილიმ აწარმოა კენჭისყრა ნეოლიდან გადმოპარათ ულ ა. დალიის პიესა „სახელი შენი, სახარავი ჩემი“, თარგმნა ოსი ავტორის დ. ტუავეის პიესა „ოქროსი კაცოჩრიაწები“. ორივე ეს პიესა დაიდგა პირველი ფოთისა და ქუთაისის თეატრებში, ხოლო მეორე — ქართულ მოზარდმაკურბელებს თეატრში. ეს პიესა დაიბეჭდა და გამოიცა ცალკე წიგნადაც. ნიკო კველიშვილს გამოქვეყნებული აქვს წერილები ისეთ თეატრალურ მოღვაწეებზე, როგორიც არიან: რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. ნინიძე, მ. ყვარლაშვილი, შ. ხერხეულიძე, ი. ცხვირაშვილი; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კ. აბესაძე, ვ. სანაღლი, მხატვარი გ. მილორავა, დრამატურგი ქალი ქ. ხაფავა-ცინცაძე და სხვ.

უცხოეთი ჩვენს საყვარელ ნიკოს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე, ჩვეული ენერჯითი მუშაობა, ახალი წარმატებები.

თვითმოქმედი ოსტატი

კონა მიქაძე

ქვენს ქვეყანაში ხალხური ხელოვნება ადამიანის სულიერი განვითარების და ზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა, მასობრივი, თვითმოქმედი ხელოვნება კულტურული ცხოვრების ორგანულ ნაწილს შეადგენს. მხატვრული თვითმოქმედება აზიარებს ხალხის მასებს კულტურულ ფასეულობებს, ხელს უწყობს ადამიანის პარამიულ განვითარებას. საბჭოთა ადამიან-

ის ესთეტიკური კულტურა დღით დღე იზრდება და ფართოვდება, ყოველ დღე ახალ-ახალი ძალა ემატება ხალხურ შემოქმედთა უდიდეს არმიას.

ქართველ ხალხს ხალხური შემოქმედების უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები გააჩნია. ჩვენს რესპუბლიკაში მრავალად არიან ხალხური ტანტები. დროთა მანძილზე სულ უფრო დიდ მოვლენად წარმოვიდგება და საპა-

ტიო ადიღის იმეგრების არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ფერწერის ისტორიაში იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული თვითნასწავლი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანიშვილი... საქართველოს სამხატვრო გალერეაში მოწყობილმა გამოფენებმაც მრავალი ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვარი, მოქანდაკე თუ ქედუროსანი გამოავლინა.

თბილისში ნიკოლაის პირვე-

ლი ჩიხის დასაწყისში დგას ერთსართულიანი სახლი. იგი არაფრით განსხვავდება სხვა იქვე მდგომარ სახლებისაგან. მაგრამ დათვალიერებთ სახლის უკან მზარს და გაოცდებით: ამ პატარა უზის შეიძლება ორსართულიანიც ვუწოდოთ. დაბლა სართულზე, ძველ პოლიგრაფისკის ისებ შახნაზაროვს ეწვანი გაუმუშებია, ზევით უზის კი მისი მეუღლე ეფენე დიმიტრის ასული ჯაფარიძე დამატარებია.

ყვაილები, ყვაილები, ყველგან ნაირფერი ყვაილები... აბათი იშვიათად თუ ვინმეს უნახავს ამდენი ყვაილი ერთად. ამ ყვაილებს უზის გალამაზების გარდა, სხვა დანიშნულებაც აქვს.

ელენე ჯაფარიძე მუდამ ოჯახში ტრიალებდა, ორ ქალიშვილს ზრდიდა, — ქართული ენისა და მიწის სიყვარულს უნერგავდა შვილებს. მისი გოგონები თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული წრის აქტიური წევრები იყვნენ. ახლა ისინი დიდები არიან... ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ყვაილებისაგან და მოხეტობისაგან სადღესასწაულად კამა შეუკვრა თავის გოგონას. ამ კამამ კონკურსში გა-



მარჯვება მოიპოვა. ამ ორი წლის წინ კი, როდესაც მთელი ქართველი ხალხი ემზადებოდა დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად, ქეთევანმა გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულში.

რუსთაველის იუბილემდე ცოტა ხნით ადრე, როგორც ცნობილია, იერუსალიმის ქართველთა მონასტერში ჩვენმა სასიკეთლო მეცნიერებმა იპოვეს ფრესკა, რომელიც ხანდაზმული მგონის გამოსახლებას წარმოადგენს. ფრესკა იქცა ელენე ჯაფარიძის შთაგონებად. მის მიხედვით სხვადასხვა ჯიშის ყვავილების და მცენარეების ფოთლებით მოჭარბა მან მრავალფეროვანი ორმეტრიანი პორტრეტი. სურათზე ნაირფერი ყვავილების პარმონილი შესებება შემოქმედებული მხატვრულ გემოვნებაზე და ბუნებით მომადლებულ ნიშზე მეტყველებს.

თითქმის მთელმა თბილისმა ნახა შოთას საიუბილეო დღეებში ეს ფრესკა. მნახველები ყვავილებით დახატულ პოეტის სახეში გარდა საოცარი გარეგნული მსგავსებისა თითქმის მის შინაგან სამყაროსაც გრძობდნენ. ფრესკა თავს დასცქეროდა პატარა ეზოს, სადაც ამ ნამუშევრის გარდა გამოფენილი იყო პოლიგრაფიისტი იოსებ შანსაზაროვის მიერ 1926 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ხისბეჭდილი დასურათებანი, ჩვენი საინჟინერო მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები. დიდ თუთის ხეზე დამაგრებულ სტენდზე გამოფენილი ირაკლი თითქმის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, აქვე იყო მოთავსებული პატარა ქოხი შუა ცეცხლით და ნაჭაზე ჩამოკიდებული ქვაბით, მხარზე კომბალ გადებული მწვემისი კეკელისაგან დამზადებული ნაბადი. ეს ნამუშევარიც ელენე ჯაფარიძის მხატვრულ ფანტაზიაზე მეტყველებდა.

ეს საოჯახო გამოფენა იხილეს ჩვენი ქალაქის გამორჩეულმა ადამიანებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა, პოეტებმა, მუსიკოსებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, სტუდენტებმა... მათმა საერთო აზრმა გამოუჩინა შესახებ გაამხნევა და წახალისა ელენე ჯაფარიძე. ეზოში გამოჩნდა ახალი ნაწარმოებები: „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“, „ვანი სარაჯი-შვილი“, „საქარია ფალიაშვილი“ და სხვ.

შოთა რუსთაველი და თამარ მეფე



ყვავილებისაგან შედგენილი დიდი ნახატის „თამარ მეფე და შოთა რუსთაველი“ ერთ მხარეზე გამოსახულია შოთა რუსთაველი უვეფხისტყაოსნით“, ხოლო სურათის მეორე კუთხეში თამარ მეფე.

ორი თვე მუშაობდა ამ სურათზე ელენე ჯაფარიძე, მასალა ორმოცზე მეტი ფერი აქვს გამოყენებული: თუთის, ლედვის, ხურმის ფოთლები, ნაირფერი ვარიდი, გიორგინა, „ივანე და მარია“, კამელოები, კვარანჩილი, სიმინდის ფოჩიბი, რაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საქართველოს ბულბულის ვანი სარაჯიშვილის და კომპოზიტორ საქარია ფალიაშვილის პორტრეტებში ელენე ჯაფარიძემ ქართული მუსიკისადმი თავისი სიყვარული და თავანისცემა ჩააქსოვა. მცენარეების და ყვავილების ელფერი შედგენილი ეს ორი სურათი მოზაიკის შთაბეჭდილებას სტოვებს. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული თვინასწავალი ოსტატი შინაგან ინტუიციას ეყრდნობა და ქმნის ხელოვნების საინტერესო ნიმუშებს.

ელენე ჯაფარიძე ღრმად გრძობს ბუნებას, როგორც ჩვენი მრავალი ხალხური ოსტატი. ბუნების მშვენიერებას, სილამაზეს მჭიდროდ უკავშირებს იგი ყოფის სილამაზეს და ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოაქვს იგი. დიდი შრომისა და მეცადინეობის შედეგია მის მიერ მოწოდებული საინტერესო და ორიგინალური მხატვრული საოჯახო გამოფენა. ამ გამოფენის სიციხეველ, სიასლე ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს. ელენე ჯაფარიძის ნა-

მუშევრებში იგრძნობა ავტორის დიდი სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი. მართლმსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა იხეივებს ვ. ი. ლენინ-

ნის დაბადების 100 წლისთავს. თვინასწავალი მხატვარი ამ თარიღისათვის ყვავილებისგან ქმნის ახალ ნაწარმოებს — ლენინი და რევოლუცია“.

მწვემისა





«უ რ ს ს კ »

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა ნორმა თაობამ ახალი შესანიშნავი საწყურია მიიღო. ეს არის გამო მცემლობა „ნაკადულის“ მიერ გემონებთ შედგენილი აღმანახი „ფრესკა“.

„ლმანახის ნიჰანა გააცნოს მოზარდ თაობას სახეთი ხელოვნება და ხუროთმოძღვრება, გააღვივოს ხელოვნებისადმი ინტერესი — გავცნობს წინათქმა. აღმანახის შესვერთ უპირველეს სასუბრო თემადა ქართველ და რუს დიდოსტატთა გარდა რენესანსის კორიფეჟები აურჩევათ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ ვახტანგ

ბერიძის სტატია „სექტიციზოველი“, ლაღი ქართულით, ძალზე ხელშესახებად აგვიწერს ხელოვნებათმოდენ ამ ძეგლის არქიტექტონიკას. მოკლედ და დასამასხარებლად გვიყვება უძველესი ტაძრის ისტორიასა და ხალხურ ლეგენდას.

„ფრესკის“ ცალკეული გვერდები ეთმობა ხატვის შემსწავლელთა წრეებისათვის განკუთვნილ „ხელოვნების სექციის“ თუ ხელოვნების წარმომიზიხას და რაობის ახსნა-განმარტებს. აღ-

მანახი შემკულია ფერად ილუსტრაციებით: 5. ფირისმანაშვილის, ბ. გუდიაშვილის, ვ. სეროვის, პიტჩინლისა და გ. იჩიაურის სურათებით.

„ფრესკამ“ უკვე ყურადღება მიიქცია. მათ შორის არის არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობა, არამედ ფართო საზოგადოებრიობა. ქართველი მხატვრები, ხელოვნებათმოდენები.

სამწუხაროდ, ჩვენს საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ საკმაო სიმაღლეზე ვერ დგას მუსიკისა თუ

ხატვის სწავლება. ამგვარი პიტიხანის კი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გათვითმობიერებას ხელოვნების საკითხებში. სახელი ხელოვნება მხოლოდ ნიჭიერ ინდივიდუალითის კი არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი და გასაგებია, არამედ ყოველი განალებული ადამიანისათვის მასობრივი უნდა გახდეს.

„ფრესკა“ და საჭიროა „ფრესკა“ ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისათვის და მისასაღებელი იქნება თუ ამ აღმანახს „ნაკადული“ რეკლარულად გაშლის.

ლიანა მიაჰა

ბ ი ბ ლ ი მ ბ რ ა ფ ი ა

თ ე ა ტ რ ის ბ ი ბ ლ ი ო მ თ ე ა

ლერი კინაძე

კრიტიკულ-ისტორიული ხასიათის ლიტერატურა რომ აუცილებელია ამა თუ იმ ხალხის ხელოვნების შესასწავლად, მტკიცებას არ მოიხიფს. მხოლოდ იმას გვიინდა გავუსვათ ხაზი, რომ ამ ჯანრის ლიტერატურის საქართვება გარდუვალია, როცა საქმე გვაქვს თეატრალურ ხელოვნებასთან. ამ გარემოებას კი მისი მკვეთრად გამორჩეული სპეციფიკური ბუნება განსაზღვრავს.

თეთი ისეთ ქვეყნებში, სადაც უკვე შექმნილია ეროვნული თეატრის ავადმიფიური ისტორია, ყოველწლიურად მრავალი სამეცნიერო-პოპულარული და საცნობარო ხასიათის ლიტერატურა გამოდის სასცენო ხელოვნებაზე. მის ცალკეულ მოღვაწეებზე, სპექტაკლებზე, ასეთი ხასიათის ლიტერატურა მით უფრო აუცილებელია ჩვენთან, საქართველოში, როცა საქმე ეხება საბჭოთა თეატრს. ქართული თეატრის ამ ყველა-

საკატორო თაბახია (მხატვრული გაფორმების ავტორები 5. მაღაზინია და დ. დუნდუა) და დაბეჭდვითი საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბაში. მალე გამოვა სერიის შემდეგი წიგნები, რითაც მივიღებთ ჩვენი სცენის გამოჩენილ მოღვაწეთა მთლიან სერიულ გამოცემას, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების ყოველი მოყვარულისა და მგობრის პირად ბიბლიოთეკის დამაშვენებს.

კეთილშობილურია „თეატრის ბიბლიოთეკის“ შექმნის

ლახე ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი ბერიძის შესწავლის მიმედნა ზეფრი საფურადღებო მონოგრაფია, ცალკეული გამოცემები, მაგრამ დღესდღეობით ჩვენს თეატრმოდენობას არ შეუქმნია ქართული საბჭოთა თეატრის საფუძვლიანი, სრულყოფილი, აკადემიური ისტორია. ეს საქმე კვლავ მნიშვნის ამოცანად რჩება.

ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანი და მისასაღებელია საქართველოს კულტურის სამინისტროს რეკლამის გამოშვები და თეატრალურ-ნანახაობითი დაწესებულებების ბიბლიოთეკის გამაგრებელი კანტორის თაოსნობა, რომელმაც ხელი მოჰკიდა „თეატრის ბიბლიოთეკის“ სერიის შექმნას (სერიის რედაქტორი სიკო ვადაჭკორია).


მკითხველმა უკვე მიიღო ამ სერიის სამი წიგნი (რომლებზეც კვეთილი გვეყვება საუბარი). თვითუკული დაახლოებით ერთი

ბით, მისი მოღვაწეებით, წარსულითა და დღევანდლობით; განსაკუთრებით სასარგებლოა ეს გამოცემები ჩვენი მოსწავლეს ახალგაზრდობისათვის. უნდა ვიფარაუდოთ, რომ „თეატრის შემდეგი წიგნები, რითაც მივიღებთ ჩვენი სცენის გამოჩენილ მოღვაწეთა მთლიან სერიულ გამოცემას, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების ყოველი მოყვარულისა და მგობრის პირად ბიბლიოთეკის დამაშვენებს.“ ამ კეთილ და საჭირო მისის კარგად შეასრულებს. ყოველ შემთხვევაში ამის თემის უფლებას გვაძლევს უკვე დაბეჭდილი სამი წიგნი.

* * *

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე, პოპულარული ნარკვევის შექმნა რთულიც არის და თითქმის ადვილიც, რთულია იმიტომ, რომ ამ მრავალმხრივი ხელოვანის შემოქმედება მთელი ეპოქა თეატრალური ხელოვნებაში, და ადვილი იმიტომ, რომ კოტე მარჯანიშვილი, როგორც ხელოვანი, საკმაოდ ჩამოყალიბებული და გამოცდილია ჩვენს ცნობიერებაში.

პარადოქსი როდია ერთი ცნობილი ადამიანის სიტყვები — დრო არ მქონდა წერილი მოკლედ რომ მომეწერათ. არჩეული თემის სირთულის მიუხედავად გვიე პარამიძე ახერხებს მოკლედ წერის და ამით მტკი მინიშნულებლობა და შემეცნებითი ღირებულება შესძინოს თავის პატარა ნარკვევს. კოტე მარჯანიშვილი მამდილოა დრომ სულიერი ანაღებულობისა და განცდის ხელოვანი იყო, ამიტომაც სიბოვნებით ვკითხვოდით პოეტური მამნიშნულებლობით დაწერილი მკერე შესავალს, სადაც ავტორი



მარჯანიშვილი

მიზანი და დანიშნულება — ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა დაინტერესოს ქართული თეატრალური ხელოვნ-

მშრალ ბიოგრაფიულ თარიღებს კი არ გვეცნობს, არამედ კოტე მარჯანიშვილის, ამ საოცარი შემოქმედებით გზების ხელოვანის სულიერი სიმღვენიერზე და სიღარიბეზე მოგვითხრობს; მერე კი ასევე ლაკონურად და ზუსტად გვისასიათებს კოტე მარჯანიშვილის ხელოვნების რაობას, მის ძირითად შემოქმედებით პრინციპებს (თუმა აქ რამდენადმე ზემოქმედებ მივყავანია გ. კრიტიკის მედარი აზრის, შემდეგში ატორის მიერვე უარყოფილის, გასცნება), და მხოლოდ ამის შემდეგ ეთმობა ადგილი მისი ცხოვრების პირველ თარიღს: — „ამობლიური სახლი ყვარელში, სადაც კოტე 1872 წლის 28 მაისს დაიბადა“...

ალეებს აძლევს მკითხველს დაუსტავს დიდი ხელოვანის ამ პერიოდის მოღვაწეობის მკაფიო სურათი.

ნარკვევის მეორე ნახევარში



ბავშვობა, ჰუმუკობა, ფიქრები პოზიზაზე, ხელოვნებაზე, ოცნება თეატრზე, კოტე — მახსოვბი... სცენისმომყვართა წარმოდგენები და პროფესიონალთა საქმეკლები თბილისსა და ქუთაისში; შემდეგ რუსეთი, ქალაქიდან ქალაქში, თეატრიდან თეატრში, საბოლოოდ გადასვლა რეჟისურაში, რიგის რუსული თეატრი, მეკობრბობა მაქსიმ გორკისთან, გახტობილება მოსკოვში, სტანისლავსკის მისაღმბება, შემდეგ ოდესა, მოსკოვი — ქართული დრამატული სტუდიის ჩამოყალიბება, მიწვევა სამხატვრო თეატრში, ოცნება სინთეტური თეატრის შექმნაზე, მისი განხორციელება მხოლოდ ერთი წლით, შემდეგ... 1919 წელი, უკრაინა, სამოქალაქო ომის მძიმე დღეები, კვიცი, რეჟისორული მკვნიერბები ით გამსქველული საქმეკლები „ცხტრის წყარო“, კიდევ რამდენიმე ეპიზოდი რუსეთში მოღვაწეობისა და... სამშობლოსაკენ — იმე გვრწნობიდი, როგორ იღვიძებდა ჩვენი ჩემი სამშობლის მარე...
კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების ამ მონაკვეთს (1893-1922 წ. წ.), აღმკვდილს განხორციელებული და განხორციელებული ოცნებებით, შედეგობებით, გამარჯვებებით, მუდმივი ძიებით, ნარკვევის დათბობილი აქვს მხოლოდ ექვსიხედი ვევიდი, მაგრამ ნათელი სტილი, აზრის ლაკონურად და სხატად გამითქვის მთარი ატორის სასუ-

ასევე მოკლედ, მაგრამ ზუსტად არის დახასიათებული კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობა ქართული საბჭოთა თეატრის შესაქმნელად და განსამტყობელად, დახატულია მართალი ხელოვანი, სოციალისტური მიზნობილი დაუცხტრომილი მუნიერული და სწორად ამით უკმადამყოფი თავისი შემოქმედებისა...

„ქართული თეატრი დიდად დავალებულია სახტრო ამმეტლის რეჟისორული სამოღვაწარიით. მისი მოღვაწეობის პერიოდი უაღრესად მნიშვნელოვანი თეატრის ისტორიაში. იგი მივკანიშნებს იმ დროს, როდესაც ეროვნული თეატრი ეროვნული ფორმების ენით მიიკვლევდა გზას მაღალი ხელოვნებისაკენ და „მხოლოდ თეატრული პირველ რიგში წინაურდობდა“. — ამ სიტყვებით მთავრდება ალ. შალვაშვილის ნარკვევი „სანდრო ამმეტლი“. აქ მოიკმეუბანა ჩვენი სასცენო ხელოვნებისათვის პრინციპული ხასიალის მნიშვნელოვანი ასაკვანა, რომელიც სანდრო ამმეტლის პრაქტიკული ნამოღვაწარიდან გამოიმდინარეს: — ქართული ეროვნული თეატრის განვითარებისა და გამარჯვების უტკუარი გზაა შესაბამისი ეროვნული ფორმების ძიება და ამ ძი-

ებობა გზით მიღწეული მონაპოვართა გამოხტება.

ალ. შალვაშვილის ნარკვევი იმ მიმართობებით ამხსნის უკრადლებას, რომ რაზმდაც ან უნდა ემუშავან სანდრო ამმეტლის, იქნებოდა იგი წმინდა ქართული ნაწარმოები („სლობარა“), გადმოკვებულადამოქართულებული („სანოორი“) თუ საზღვარგარეთული კლასიკა („ყასადები“) იგი ყოველთვის მართებულად ცდილობდა ყოველი მათგანისათვის ეროვნული თეატრის ბუნების შესაბამისი სცენური ფორმების მისადაგებინა.

მართალია ნარკვევის ავტორი, როცა მიუთითებს, რომ ეროვნული სულის ინიფიდეულობა ისე ანთად არსად არ ვლინდება, როგორც ხელოვნებაში, თეატრში, ამიტომაც არ შეიძლება ყოველი სცენის მოღვაწის ზრუნვის საგანი არ განდეს ეროვნული თეატრალური ფორმების ძიება. სანდრო ამმეტლი ისწავლიდა, რომ თეატრში ჩამოყალიბებული ყოქართულები ადამიანის სულის ფორმები, ახალი სახე ქართველი კაცისა, დიდი რეჟისორის თვითობების უპირველესი წყარო იყო სინაღლები, ცხოვრება. ესთეტიკის უმთავრეს საკითხს იგი ასე განსაზღვრავდა: „ხელოვნება ცხოვრების უბრალო ასახვა კი არ არის, არამედ მისი იღური გაგმტლება“.

უკანასკნელი ათი წლის განხელოვბაში სანდრო ამმეტლის მემკვიდრეობის შესწავლას მიეძღვნა რამდენიმე საკურადლები ნაშრომი, სტატია. უნდა ითქვას, რომ „თეატრის ბიბლიოთეკის“ სერიით გამოკმეული ალ. შალვაშვილის ნარკვევი გამოირჩევა პროფესიული აზროვნებით, მკაფიო სტილით და საკვლევი თემის საფუძვლიანი ცოდნით. ამასთანავე ეს პოპულარული-სამეცნიერი ნარკვევი (სერვის ძირითადი დანიშნულების შესაბამისად) მასობრივ, არაროფესიონალ მკითხველს სასულებლას აძლევს ძირითად სახებში ნათლად გაიტნოს სანდრო ამმეტლის პრაქტიკული ნამოღვაწარი და თეორიული ნააზრები, გაიგოს თუ რა იყო მისი წარმატების ძირითადი პირობა, რამ განსაზღვრა მისი თეატრის სისახლე და ირიგე-



ნალობა, რას ევრდნობოდა რეჟისორი თავის ძიებებში, რას წარმოადგენდა ის ახალი თეატრალური სინამდვილე, რომელიც რუსთაველის თეატრში შეიქმნა სანდრო ამმეტლის ხელმძღვანელობით.

ქართულ კულტურას დიდი ღვაწლი დასდო ალექსანდრე წუწუნავამ, ამიტომაც არის, რომ მის სახელს ყოველთვის პირველთა რიგებში იხსენიებს სასცენო ხელოვნების ისტორია. სხვა რომ არა იყოს რა, მისი უდიდესი დამსახურების აღასანიშნავად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ერთი ფაქტის გასცენება: ალექსანდრე წუწუნავამ პირველმა მინიჭა სცენური სიცოცხლე ქართული ეროვნული ოპერის ოთხ უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს. მან გარველსა და დგდა რა. არქიშვილის „თქმულბა შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და თეფრი“, ვ. დოლიძის „ქეთი და კოტე“ (სამიხე 1919 წელს) და ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (1924 წელს).

ა. წუწუნავა ქართული მხატვრობა კინემატოგრაფიის პიონირიყაა, მან გაადაილი (1916 წ.) პირველი სრულმეტრეაინი ქართული მხატვრობი ფილმი „ქრისტინე“. ალექსანდრე წუწუნავამ განაპოვრება ბვეერი მაღალმხატვრობი საქმეკტაის დადგმა როგორც დრამატული, ისე საოპერო თეატრში. ის საქმეკტალები ჰემმარტად დიდი ხელოვანის მართალი შემოქმედების ნაყოფია და ჩვენი სასცენო ხელოვნების საუკვეთის ნაწარმოება რიტხვს გეუთე-



ნის.. ხოლო ალ. წუწუნავას რეჟისორობით გადაღებული „ხანუმა“, „ორი მონადირე“, „ჯანყი გურიაში“, „კინ არის დამნაშავე“ მუდამ დარჩება ეროვნული კინმატორგაფიის ისტორიაში, როგორც საინტერესო რეჟისორული ძიებებით აღბეჭდილი ფილმები.

